პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ლა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 13 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 213 (2256)

დღიური

— ჩეხო-სლოვაკიის მუშების ბრძოლა შაქრის ფასის გადიდების წინააღმდეგ. — საპროტესტო მიტინგი პრაღაში.
— შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის ბელგრადში.
— შეტაკება ბულგარეთისა და რუმინეთის სასაზღვრო რაზმებს შორის.
— ბუენოს - აირესში (არგენტინა) ჩასულ ვანდერველდეს უსტვინეს მუშებმა.
— ბერლინში გაიხსნა მუშა რადიო - მოყვარულთა კონფერენცია.
— ტერორი ალბანეთში.

პროფკავშირთა ყრილობები ინგლისში და გერმანიაში

გერმანიაში და ინგლისში ერთდროულად გაიმართა პროფკავშირთა ოფიციალური ყრილობები. მაგრამ სიმპტომატიური მარტო ის არ არის, რომ ეს ყრილობები ერთსა და იმავე დროს გაიმართა. ყრილობა სვონსში და ყრილობა ჰამბურგში საერთაშორისო რეფორმიზმის ერთსა და იმავე ხაზს ანვითარებდნენ და არსებითად ერთსა და იმავე უაღრესად მოღალატურ და მებრძოლ- ოპორტიუნისტულ კურსს ატარებდნენ. უდიდესი საერთაშორისო რეფორმისტული ორგანიზაციების ამ ყრილობებმა სავსებით ნათლად გამოაშკარავეს ამ ორგანიზაციების ნამდვილი სახე. მთელი ცინიკური გულახდილობით და დამთავრებული სახით გადაიშალა რეფორმისტული პროფბიუროკრატიის ეხლანდელი პოზიცია.

გარეგნულადაც კი, „დეკორუმის" მხრივაც კი ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ამ პროფბიუროკრატიულ „პარლამენტებს". როგორც სვონსში, ისე ჰამბურგში თავი მოიყარეს პროფკავშირთა ბიუროკრატიის ზედაფენებმა, რომლებიც ყველაზე უფრო გამოწრთობილნი და დაგეშილნი არიან ყოველგვარი ბრძანების მორჩილად ასრულების საქმეში. ერთგანაც და მეორეგანაც წარმოსთქვეს ტრაბახობითა და სიცრუით აღსავსე სიტყვები, ერთგანაც და მეორეგანაც მრისხანებით ჰყრიდნენ ცოფებს კომუნისტი „ბოროტმოქმედების" წინააღმდეგ. ტრედიუნიონთა ბონზები კონსერვატორებს ეჯიბრებოდნენ „კეთილმორწმუნეობაში" და „პატრიოტიზმში", სვამდნენ მეფე გეორგის სადღეგრძელოს და ერთგულებას ეფიცებოდნენ ალფრედ მონდს. გერმანელმა რეფორმისტებმა საჯაროდ მოახდინეს დემონსტრაცია იმისა, რომ ისინი სრულ სოლიდარობას უცხადებენ ბურჟუაზიულ მინისტრებს, რომლებიც პროფკავშირთა კონგრესს დაესწრნენ, როგორც „საპატიო სტუმრები". შეხმატკბილებულად გაისმოდა გერმანელი პროფკარდინალის ლეიპარტისა და ბებერი ოინბაზის ბენ-ტერნერის სიტყვები. ისინი ერთსა და იმავე სამარცხვინო აზრებს ქადაგებდნენ, რომლებიც გამსჭვალული იყო კომუნიზმის მძულვარებითა და ბურჟუაზიის წინაშე საზიზღარი ლაქიობით.

ორივე ყრილობამ ნამდვილი ომი გამოუცხადა ეგრედწოდებულ „გამთიშავ ელემენტებს", ე. ი. ყველა იმათ, ვინც სდგას პროლეტარიატის კლასობრივ პოზიციაზე და წინააღმდეგობას უწევს შრომისა და კაპიტალის საზიზღარ კავშირს. ტრედიუნიონების ხელმძღვანელები მზად არიან კანონს გარეშე გამოაცხადონ მათთვის აუტანელი უმცირესობის მოძრაობა, რომელიც მრავალგვარი დაბრკოლების მიუხედავად, წარმატებით ვითარდება. გენსაბჭომ მიიღო უფლება დაშალოს მისთვის „არასასურველი", ურჩი კავშირები: გერმანელი სოციალ- ტრესტისტებიც მზად არიან ჩაახჩონ პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიცია. ისინი მეწარმოებლებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების თანახმად არ ერიდებიან რევოლიუციონური მუშების დევნას, ქუჩაში გაყრას და მათთვის ლუკმა-პურის მოსპობას. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ორივე ყრილობის შემადგენლობა წინასწარ არის შერჩეული მახინატორული გზით. „არასასურველ" მანდატებს ულაპარაკოდ აუქმებდნენ. თვით ყრილობებზე ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ იმისათვის, რომ ჩაეხჩოთ რევოლიუციონური ოპოზიციის ხმა.

დაქირავებული შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის საკითხი რეფორმისტულმა ყრილობებმა მთელი 100 პროცენტით ისე გადასწყვიტეს, როგორც ეს უნდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობამ სვონსში „ავტორიტეტულად" დაადასტურა „სამრეწველო მშვიდობიანობის პრინციპი" და წინადადება მისცა ინგლისის მუშათა კლასს, მორჩილად დაიჩოქოს ქიმიური მრეწველობის მეფის ფაშისტ მონდის წინაშე. ხოლო ჰამბურგის ყრილობამ ოპორტიუნისტული ბუკითა და ნაღარით გამოაცხადა „სამეურნეო დემოკრატიის" დამყარება და წინადადება მისცა გერმანელ მუშებს კაპიტალისტური რაციონალიზაციის გულისათვის აიტანონ ყოველგვარი ტანჯვა და შეურიგდნენ „მინუსებს", როგორც „აუცილებელ ბოროტებას". მხოლოდ „ქუჩის" დრტვინვამ, იმ ქუჩისა, რომლის წინაშეც ორივე ყრილობამ ბიუროკრატიული მძულვარების ჩინური კედელი აღმართა და პოლიციელთა რაზმები დააყენა (უმუშევართა დემონსტრაცია სვონსში, ჰამბურგის მუშათა რევოლიუციონური დემონსტრაცია) მოაგონა პროფრეფორმისტებს, რომ რევოლიუციონური მასები დაჟინებლად იბრძოლებენ მორიგი ღალატის წინააღმდეგ.

სვონსში და ჰამბურგში მომხდარი ყრილობები გასაოცარის სისწორით ამტკიცებენ იმ შეფასებას, რომელიც კომინტერნმა მისცა რეფორმიზმს მისი განვითარების ეხლანდელ ფაზაში. სვონსშისა და ჰამბურგის ყრილობები ამტკიცებენ აგრეთვე იმას, რომ სავსებით სწორია კომინტერნის აღმასკომის მეცხრე პლენუმის მიერ დასახული და კონგრესის მიერ განვითარებული ჩვენი ტაქტიკური ხაზი და კურსი, რომელიც გულისხმობს მკაცრ ბრძოლის გაჩაღებას კონტრ- რევოლიუციონური რეფორმიზმის წინააღმდეგ, პროფზედაფენების შეზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატთან, მათი შეზრდა იმპერიალისტური ბატონობის სისტემასთან ჩვენს თვალწინ ხდება. ამაზე აშკარად ლაპარაკობდნენ თვით ბიუროკრატები სვონსში და ჰამბურგში. ლაქუცობა მონდებთან, „ხელისუფლებისა და პასუხისმგებლობისაკენ მიმავალი გზით" სიარული, —აი სვონსის კონგრესის ნამდვილი არსება. სახელმწიფო ჩვენია და განვამტკიცებთ მას— პირდაპირ განაცხადეს რეფორმისტებმა გერმანიაში.

სვონსის და ჰამბურგის ყრილობები ნათლად გამოხატავენ მუშათა ბიუროკრატიის ზედაფენების იმ გაბურჟუაზიების პროცესს, რომელზედაც კომინტერნის კონგრესი ლაპარაკობს თავის თეზისებში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ვინ გაბედავს იმის უარყოფას, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმის „მორცხვი დაცვიდან" გადავიდა მისთვის აშკარა მხარის დაჭერაზე, კლასობრივი ბრძოლის შესახებ ფრაზებიდან „სამრეწველო მშვიდობიანობის" ქადაგობაზე, „სამშობლოს დაცვიდან" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებაზე (კაუცკი), კოლონიების სიტყვიერი დაცვიდან კოლონიალური ჩაგვრისათვის პირდაპირი მხარის დაჭერის პოლიტიკაზე, წვრილ -ბურჟუაზიული პაციფიზმიდან იმპერიალისტური ერთა ლიგის გაღმერთებაზე, ცრუმარქსისტული რევიზიონიზმიდან ინგლისის მუშათა პარტიის ლიბერალიზმზე" (მე-6 კონგრესის თეზისები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ).

სვონსი და ჰამბურგი მოწმობენ რეფორმისტებისა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის „საღმრთო ერთობას" პროლეტარული პროფმოძრაობის სისტემატიური გათიშვისა და დეზორგანიზაციის რეფორმისტულ პოლიტიკაში, როგორც საერთაშორისო ხაზით, ისე ცალკე ქვეყნების შიგნითაც. სვონსსა და ჰამბურგში გაილესა ის დეზორგანიზატორული მახვილი, რომელიც ზურგში უნდა ჩასცენ მებრძოლ პროლეტარებს. ორივე კონგრესი ფაქტიურად გზას უხშობს ყოველგვარ დიდ გაფიცვას, ყოველგვარ სერიოზულ თავდაცვას და მუშების კონტრშეტევას კაპიტალის წინააღმდეგ. ამის ნაცვლად აღიარებულია „სამრეწველო მშვიდობიანობის", „სამეურნეო დემოკრატიის" და მომრიგებელი კამერების არბიტრაჟის გაცვეთილი იდილია.

გერმანიის პროფყრილობის ერთ-ერთმა დელეგატმა განაცხადა: სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ ბურჟუაზიასთან „შეთანხმება მიღწეულია", მთელი ბურჟუაზიული პრესა ერთსულოვნად მიესალმა მას და მხოლოდ კომუნისტებს სურთ მისი ჩაშლა— მაშასადამე, ძირს კომუნისტები.

ლახვარი კომუნიზმს, უმცირესობის მოძრაობას, პროფკავშირების ოპოზიციას, ყველა პატიოსან რევოლიუციონერ მუშას—ასეთია სვონს-ჰამბურგის გეზი. სწორედ ამიტომ უკრავს ტაშს მთელი ბურჟუაზიული პრესა ორივე კონგრესის გადაწყვეტილებებს („წინ გადადგმული ნაბიჯი", „განკურნება", „საღი გონება"). ბურჟუაზიასთან მჭიდროთ დაკავშირება ისე აშკარად და დაუფარავად მოხდა, რომ ბურჟუაზია ოპორტიუნისტ ლიდერებს პირდაპირ დირექტივებს აძლევდა იმის შესახებ, თუ როგორ გასძღოლოდნენ „უფრო უკეთესად" კონგრესებს და როგორ აღმოეფხვრათ კომუნისტური „შფოთი".

მაგრამ თავის პატრონზე დემონსტრატიული გეზის დაჭერას, რაც ახასიათებდა პროფყრილობებს, არასასიამოვნო მხარეცა აქვს რეფორმიზმისათვის. მთელი თანამედროვე მდგომარეობა და რეფორმისტების „პრინციპების ცინიზმი" საგრძნობლად შეუწყობს ხელს მასების შეგნების თვალის ახელას და მებრძოლი ძალების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. რეფორმისტების ყოველგვარი მეცადინეობის მიუხედავად, მუშათა ქვედაფენების გამემარცხენების პროცესი კვლავ გრძელდება. კლასობრივი ბრძოლა შეუჩერებლად ძლიერდება და ვერავითარი ჯადო მას ვერ შეაჩერებს.

სვონსისა და ჰამბურგის კონგრესები გვერდს უქცევენ მასიურ მოძრაობას და მის წინააღმდეგ მიდიან. მაგრამ მუშათა მასიური მოძრაობაც გვერდს აუქცევს ოპორტიუნისტული კონგრესების გადაწყვეტილებებს. რეფორმისტები ვერავითარი დეზორგანიზატორული იერიშით ვერ შეაფერხებენ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ძლიერდება კაპიტალისტური სტაბილიზაციის თანდათან გაფართოებულ და გაღრმავებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე. კაპიტალისა და სოციალ- რეფორმიზმის გალაშქრება მუშების წინააღმდეგ ვერ გამოიღებს იმ ნაყოფს, რის იმედიც მუშათა მტრებს აქვთ. რევოლიუციონური ძალები მოახერხებენ პროლეტარული მოძრაობის სათავეში ჩადგომას, ნაყოფიერ ბრძოლას მასებისათვის, რეფორმისტების პროვოკაციის აღმოფხვრას, შეუკავშირებელთა და გამორიცხულთა დარაზმვას და მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას ძირიდან. ყველაფერი იმას გვიჩვენებს, რომ საცაა უნდა აგორდეს მუშათა საერთაშორისო მოძრაობის მძლავრი ტალღა. ეს ტალღა წალეკავს ეკლიან სანგრებს, რომელნიც სვონსა და ჰამბურგში აღიმართნენ.

„პრავდა", 12 სექტემბერი.

გერმან მიულერი ერთა ლიგის „მუშაობის" შესახებ

მიულერი უარჰყოფს ვერსალის ხელშეკრულების გაუთვალისწინებელ მოთხოვნილებებს გერმანიის მიმართ

ჩან-ცზუნ-ჩანისა და ნანკინის ჯარების ბრძოლა.—ჩან-ცზუნ-ჩანის ჯარების დამარცხება

მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის დევნა ამერიკაში.—რეფორმისტები და პოლიცია მუშების წინააღმდეგ

საფრანგეთი და გერმანია

ბრიანი გაოცებულია

ჟენევა, 11 სექტემბერი. პრესის წარმომადგენლების მიღების დროს, ბრიანმა გაოცება გამოსთქვა იმის გამო, რომ მისმა სიტყვამ ასეთი მღელვარება გამოიწვია გერმანიის წრეებში. მან განაცხადა: ის გარემოება, რომ მე გერმანიის სამხედრო შესაძლებლობას შევეხე, წარმოადგენდა მხოლოდ ფაქტის აღნიშვნას და არა საყვედურს. (ადს).

პარიზის პრესა იწონებს ბრიანის სიტყვას

პარიზი, 11 სექტემბერი. მთელი პარიზის პრესა ქება-დიდებით იხსენიებს ბრიანის პასუხს მიულერისადმი.

„ჰუმანიტე" ბრიანის იმავე სიტყვის გამო სწერს: „**ბრიანი ხელს იღებს ტუარის ტკბილ ჰანგებზე და გადადის იმპერიალიზმის ღია პოლიტიკაზე**". (ადს).

არ მიუღიათ არავითარი პრაქტიკული გადაწყვეტილება

ჟენევა, 11 სექტემბერი. 11 სექტემბერს შესდგა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის წარმომადგენელთა პირველი თათბირი რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ. თათბირი 3 საათს გაგრძელდა. მეორე და, როგორც ეტყობა, უკანასკნელი თათბირი დანიშნულია ხუთშაბათისათვის. თათბირის მონაწილეთა განცხადებით, საკითხს მხოლოდ საერთოდ შეეხენ და არავითარი პრაქტიკული წინადადება არ განუხილავთ (ადს).

გერმანია და საფრანგეთი

მიულერის განცხადება

ჟენევა, 11 სექტემბერი. რეინის ოლქის ოკუპაციის შესახებ გამართული თათბირის შემდეგ რეიხსკანცლერმა მიულერმა მიიღო პრესის წარმომადგენლები. მათთან საუბრის დროს მიულერმა აღნიშნა გერმანიის სურვილი ერთა ლიგასთან თანამშრომლობის შესახებ და განაცხადა: „ერთა ლიგა გერმანიის ხალხის ნდობას მოიპოვებს თავისი საქმებით. გერმანია ანგარიშს უწევს განიარაღების საკითხთან დაკავშირებულ სიძნელეს, მაგრამ მას უფლება აქვს მოითხოვოს განხორციელება ლიგის წესდების მე-8 მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო განიარაღებას".

მიულერი შეეხო აგრეთვე რეინის ოლქის ოკუპაციის საკითხს და განაცხადა, რომ გერმანია არ იკისრებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებული არა აქვს ვერსალის ხელშეკრულებასო. (ადს)

ერთა ლიგის საბჭოს პლენუმი

ვოლდემარასის რეზოლიუცია უარყოფილია

ჟენევა, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმმა დაადგინა, არ შეიტანოს დღის წესრიგში ვოლდემარასის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია. არ შეიტანეს იმიტომ, რომ კელოგის პაქტი ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში, აგრეთვე იმიტომ, რომ ვოლდემარასის მიერ აღძრული საკითხები ხანგრძლივ შესწავლას საჭიროებენ. (ადს).

კეშენდენმა პასუხი გასცა

ჟენევა, 11 სექტემბერი. საერთო კამათი ერთა ლიგის პლენუმზე დამთავრდა კეშენდენის სიტყვით. მან პასუხი გასცა ორატორებს და დაჟინებით მოითხოვა მოსამზადებელი კომისიის მუშაობის დაჩქარება. კეშენდენმა პასუხი გასცა მიულერსაც. კეშენდენის აზრით, მიულერი ანგარიშს არ უწევს იმ სიძნელეებს, რომლებიც კომისიის წინაშე სდგას. კეშენდენმა ხაზი გაუსვა იმას, „თუ რა ძნელია განიარაღების პრინციპების განსაზღვრა. აგრეთვე იმ ცნობის გამოქვეყნება, რომელიც ქიმიურ და საჰაერო შეიარაღებას შეეხება". (ადს).

პოლონეთის პრესა პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 11 სექტემბერი. მთელი პოლონეთის პრესა აღნიშნავს იმ „გულითად გრძნობას, რომლითაც შეხვდნენ საბჭოთა კავშირში პოლონეთის სამრეწველო დელეგაციას".

გაზეთებს მოჰყავთ ადგილები „იზვესტია"-ს იმ წერილიდან, რომელიც ესალმება დელეგაციას.

ოფიციოზი „გლოს პრავდი" ეხება „იზვესტია"-ს იმ წერილს, რომელიც თავის დროზე კომენტარიებს უკეთებდა პატეკის ინტერვიუს, და სწერს:

„იზვესტია"-ს წერილი შავი ლაქაა უკანასკნელ ოპტიმისტური ფაქტების ფონზე. „იზვესტია" განაგრძობს ნაძალადევ ბრალდებების წამოყენებას პოლონეთის წინააღმდეგ".

გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „იზვესტია"-ს დასკვნები შემცდარია და აცხადებს, რომ ერთა ლიგის წევრობამ არ შეუშალა ხელი პოლონეთს ხელი მოეწერა კელოგის პაქტზე, მაგრამ შეუძლებელი გახადა თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან „გლოს პრავდი"-ს სიტყვით, კელოგის პაქტი „არ შეიცავს არაფერს, ისეთს, რაც ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას, რის თქმა სამწუხაროდ არ შეიძლება ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის შესახებ" (ადს).

„უშიშარი" ხუხან-მინი

„კომუნისტებისა არ მეშინია"

შანხაი, 11 სექტ. გაზეთებში დაბეჭდილია დიდი ინტერვიუ ხუ-ხან მინთან. ხუ-ხან-მინმა, სხვათა შორის, განაცხადა: „მთავრობის შიგნით ან სათათბირო ორგანოებში ოპოზიციას ადგილი არა აქვს. შეურიგებელი მოწინააღმდეგენი გონიერად მოიქცევიან, თუ სულ ჩამოგვშორდებიან. თავისუფლება ერთგვარი ჩარჩოებით უნდა შეიზღუდოს, მაგრამ გადაჭარბებული რეპრესიები მიზანშეწონილი არ არის და საქმეს ამწვავებენ. მე არ მეშინიან კომუნისტებისა და თუ შევძლებთ გომინდანის გაერთიანებას, შევქმნით პასუხისმგებელ მთავრობას და შევამცირებთ გადასახადებს, მაშინ უკმაყოფილება მოისპობა". (ადს)

მოსამსახურეთა გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 11 სექტ. 10 სექტემბერს შანხაიში გაიფიცნენ ის მოსამსახურეები, რომელნიც ბრინჯის სავაჭროებში მსახურობენ. მიზეზი—სავაჭროების პატრონებმა არ დააკმაყოფილეს მოსამსახურეთა მოთხოვნა ხელფასის გადიდებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. გაფიცულთა რიცხვი 6000 აღწევს. დაიკეტა მრავალი ათასი ბრინჯის დუქანი. (ადს)

ნანკინი და იაპონია

იაპონიის აგენტი დამარცხდა

პეკინი, 11 სექტემბერი. ნანკინის ჯარებმა, რომლებიც ჩან ცზუნ-ჩანის წინააღმდეგ მოქმედობენ, კაიპონი დაიჭირეს. ჩან ცზუნ-ჩანის ჯარების ნაშთები უწესრიგოთ იხევენ. (ადს).

იოშიზავას განცხადება

პეკინი, 11 სექტემბერი. იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოშიზავამ განაცხადა: „იაპონია მოლაპარაკებას დაიწყებს ნანკინთან, როდესაც ჩინეთი გულწრფელობას გამოიჩენს, სახელდობრ — უკან წაიღებს თავის წინადადებას იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და ნამდვილ ზომებს მიიღებს ყოველგვარი ანტი-იაპონური აგიტაციის მოსასპობად (ადს).

რეფორმისტების და პოლიციის კავშირი

ამერიკელ რევოლიუციონერ მემაღაროეთა დევნა

პოლიციის თარეში გრძელდება

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. როგორც პიტსბურგიდან იუწყებიან, პოლიცია კვლავ განაგრძობს თარეშს. იგი ჰფანტავს მემარცხენე მემაღაროეთა იმ დელეგატების სხდომებს, რომელნიც მოვიდნენ პიტსბურგის ყრილობაზე. ეს ყრილობა უნდა დამთავრებულიყო მემაღაროეთა ახალი კავშირის ორგანიზაციით. 10 სექტემბერს პოლიცია თავს დაესხა ყრილობას, რომლის დროსაც ოთხი დელეგატი დაიჭრა. მრავალი დელეგატი დააპატიმრეს. ამათგან ხუთი დელეგატი სამართალში მისცეს, 20-ს გადაუწყვიტეს ჯარიმა 5-დან 20 დოლარამდე, დანარჩენნი—გაანთავისუფლეს.

პოლიციის უფროსმა გამოაცხადა, რომ იგი ნებას არ მისცემს ყრილობას პიტსბურგში შეიკრიბოს. საორგანიზაციო კომიტეტი შეეცადა კრება გაემართა ერთ-ერთ მახლობელ ქალაქში, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. საღამოთი კვლავ შეეცადნენ თვით ქალაქში შეკრებას.

მემარცხენე მემაღაროეების ლიდერი ჯონ. უეიტი პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ბრალს სდებდა ლუისის აგენტებს იმაში, რომ ისინი პოლიციასთან ერთად თავს დაესხნენ მემარცხენე მემაღაროეებს. (ადს)

კონფერენცია მაინც შესდგა

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. პოლიციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, პიტსბურგში შესდგა მემაღაროეთა კავშირის მემარცხენე ფრთის მიერ მოწვეული კონფერენცია (ადს).

ბროკდორფ-რანცაუს გარდაცვალების გამო

ჰინდენბურგის საპასუხო დეპეშა

მოსკოვი, 12 სექტემბერი. საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰინდენბურგისაგან:

„საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცაკის თავმჯდომარე კალინინს.

ბატონო თავმჯდომარევ, ჩემს უღრმეს მადლობას გიძღვნით ელჩის გრაფ ბროკდორფ რანცაუს გარდაცვალების გამო ჩემთვის გადმოცემულ სამძიმრისთვის. მოგონება განსვენებულისა და მისი მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მიმართული იყო გერმანიის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ, მუდამ უკვდავი იქნება გერმანიაში".

პანაშვიდი ბერლინში

ბერლინი, 11 სექტემბერი. 11 სექტემბერს შესდგა გერმანიის მოსკოველი ელჩის განსვენებული გრაფი ბროკდორფ რანცაუს პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ გერმანიისა და პრუსიის მთავრობათა წარმომადგენელნი. უცხოეთის თითქმის ყველა ელჩი და დესპანი, გერმანიისა და პრუსიის პარლამენტების წარმომადგენლები, ბევრი საზოგადო მოღვაწე და აგრეთვე განსვენებულის მეგობარნი და ნათესავნი.

რადგან კრესტინსკი ბერლინში არ არის, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მხრით დაესწრო საელჩოს მრჩეველი ბროდსკი, ხოლო საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მხრით— ბეგე. (ადს).

შეტაკება ბულგარეთ-რუმინეთის საზღვარზე

ვენა, 11 სექტემბერი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, ბულგარეთის მოსაზღვრე ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ერთს მოსაზღვრე სოფელს დობრუჯაში. სროლამ თითქმის ერთ საათს გასტანა და დიდი შიში გამოიწვია. რუმინეთის საზღვრის მცველებმაც ასეთივე სროლით უპასუხეს ბულგარეთის მოსაზღვრეებს, რის შემდეგაც ბულგარეთის ჯარისკაცებმა სროლა შესწყვიტეს (ადს).

მდგომარეობა სამხრეთ სლავიაში

დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან ბელგრადში

ვენა, 11 სექტ. სამხრეთ- სლავიის გაზეთების ცნობით, ბელგრადში გაიმართა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ უკანასკნელ ხანებში დააპატიმრეს მუშათა მოძრაობის დიდძალი მონაწილე. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დემონსტრანტები პოლიციელებს ქვებს ესროდნენ. პოლიციამ დააპატიმრა დემონსტრაციის მრავალი მონაწილე. (ადს)

რადიკალები და გლეხურ-დემოკრატიული კოალიცია

ვენა, 11 სექტემბერი. ბელგრადის გაზეთების ცნობით, მთავრობის რადიკალურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, გაგზავნოს ზაგრებში თავისი წარმომადგენელი გლეხურ-დემოკრატიულ კოალიციასთან მოსალაპარაკებლად (ადს).

შაქრის ფასის გადიდება ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 11 სექტემბერი. შაქრის ფასის გადიდებამ დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია ჩეხო-სლოვაკიის მუშათა შორის (ჩეხო-სლოვაკიის შაქრის მრეწველებმა შაქრის ფასი გაადიდეს შინაურ ბაზარზე, რომ ამით უზრუნველეყოთ შაქრის საექსპორტო ფასის შემცირება).

მასების ზედგავლენით სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ მოეწვიათ პრაღაში საპროტესტო მიტინგი, რომელმაც რამდენიმე ათასი მონაწილე მიიზიდა.

მაგრამ მიტინგზე სალაპარაკოდ გამოსული სოციალ-დემოკრატების ორატორები ცდილობდნენ დაეწყნარებიათ მუშები და მოუწოდებდნენ მათ—შაქრის სიძვირის ზრდის საკითხი გადაეწყვიტათ „საარჩევნო ბრძოლის" გზით.

კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო მასიური საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 5.000 მუშაზე მეტი.

მიტინგზე გამოსულმა კომუნისტების დეპუტატმა ბოლენმა მკაცრად ამხილა სოციალ-დემოკრატების ლოიალური ოპოზიცია და მოუწოდა მუშებს მოემზადნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საერთო ყრილობისათვის; მოწოდებამ მიტინგის მონაწილეთა მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია.

მიტინგზე არჩეულ იქნა საგანგებო დელეგაცია, რომელიც უნდა ამოვიდეს საწარმოებში და მოუწოდოს მუშებს მთლიანი ფრონტის შესაქმნელად (ადს).

დეპუტატების უკან გაწვევის შესახებ

1927 წლის დეკემბერს ამიერ - კავკასიის ცაკმა დაგზავნა დირექტივა ადგილობრივ ორგანოებისადმი პასიურ დეპუტატების საბჭოებიდან უკან გაწვევის უფლების შესახებ. მისი შინაარსი არსებითად შემდეგი იყო:

ამომრჩევლების მიერ დეპუტატების უკან გაწვევის უფლება საბჭოთა დემოკრატიის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

დეპუტატის უკან გაწვევა შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ იგი სისტემატიურად არ ესწრება საბჭოების თათბირებს; თუ იგი არ ასრულებს საბჭოს დავალებებს; თუ იგი არ ასრულებს ამომრჩევლების დირექტივას და თუ მისი ყოფაქცევა არ შეეფერება საბჭოს წევრს.

უკან გაწვევის თაოსნობა შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა მესამედისაგან მაინც, პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან, ღარიბ გლეხთა კრებებისაგან, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებისაგან, ქალთა სადელეგატო კრებებისაგან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის საბჭოებისაგან. ამასთანავე, ამიერ - კავკასიის ცაკის დირექტივაში აღნიშნული იყო, რომ გაწვევა ხდება ამომრჩეველთა კრებაზე და იმ დროს გასაწვევი დეპუტატის დასწრება სავალდებულოაო.

სხვადასხვა მაზრის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ა.-კავკ. ცაკის დირექტივა ადგილობრივ არ დამუშავებულა. სამაზრო აღმსკომებს არ განუხილავთ ეს საკითხი თავის პრეზიდიუმებში. დირექტივა არ დამუშავებულა არც დაირათა აღმასკომებში, თემების აღმასკომებში და სასოფლო საბჭოებში (ლენქორანი, შემახა, ნახიჩევნის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ქუთაისი, გორი, შორაპანი). მოსახლეობამ ჯერ კიდევ არ იცის ა.-კავკასიის ცაკის დირექტივის არსებობა, ე. ი. თავისი უფლებანი დეპუტატების უკან გაწვევის საქმეში (იმავე მაზრებში); ეს კი იმას ადასტურებს, რომ ა.-კავკ. ცაკის დირექტივა დეპუტატების გაწვევის შესახებ გავრცელებული არ არის ამომრჩეველთა შორის. ამის გამო, გამოკვლევის დროს აღმოჩნდა ამ დირექტივის ხშირი დარღვევის შემთხვევა. არ არის ისეთი ფაქტი, რომ დეპუტატის უკან გაწვევის თაოსნობა გამომდინარეობდეს ამომრჩევლებისაგან (აზერბეიჯანი).

ასეთსავე სურათს ვხედავთ საბჭოთა საქართველოს 8 გამოკვლეულ სათემო ერთეულში.

„გამოკვლეულ 6 მაზრაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამომრჩევლებს გამოეყენებინათ თავისი დეპუტატების უკან გაწვევის უფლება; ასეთი რამ არ იციან არამც თუ ამომრჩევლებმა, არამედ საბჭოების, დაირების და მაზრების აღმასკომების მუშაკებმაც. საბჭოებს მექანიკურად გაჰყავს დეპუტატები საბჭოს შემადგენლობიდან, ისე, რომ მათ სხდომებზე არ იწვევენ, ან კიდევ წევრებად „ირჩევენ" სრულიად ახალ პირებს, არა კანდიდატებს. ამასთან ერთად გამორიცხულ დეპუტატს ზოგჯერ სჯიან კიდეც (აზერბეიჯანი). აი, რა არის ნათქვამი სასოფლო საბჭოების დადგენილებებში: **„ყველა ხუთი წევრი გამოირიცხოს საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან და წაერთვათ მათ ხმის მიცემის უფლება ერთი თვის განმავლობაში"**. მეორე სასოფლო საბჭოს დადგენილებაში: „კუდრატიც და მამედიც დაპატიმრებულ იქნან ერთი თვით და, თუ ეს ზომა არ იმოქმედებს მათზე, ისინიც გამოირიცხონ".

დამახასიათებელია, რომ ადგილობრივ (აზერბეიჯანში) ბევრ მუშაკს ეშინია კიდეც დეპუტატების გაწვევა ამომრჩეველთა კრებების საშუალებით: ისინი აცხადებენ: „კულაკები ეცდებიან თავისი კანდიდატების გაყვანასაო". ასეთ მდგომარეობაში გასაგებია, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს დეპუტატების უკან გაწვევის შემთხვევა საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციების თაოსნობით, რომელთა შესახებაც ლაპარაკია დირექტივაში.

რაც შეეხება საქართველოში უკან გაწვეული დეპუტატების ან აზერბეიჯანში გამორიცხული დეპუტატების რიცხვს, იგი დიდ „პროცენტს შეადგენს საბჭოს წევრთა რაოდენობასთან შედარებით. მაგალითად, „აზერბეიჯანში თვითეული სასოფლო საბჭოდან გამორიცხულია 3 — 8 დეპუტატი, საბჭოში კი 30 — 40 წევრია; საქართველოში უკან გაწვეულია (თვით საბჭოების მიერ) 2.674 კაცი, ე. ი., დაახლოვებით, საბჭოს წევრთა 10 პროცენტი, ზოგიერთ მაზრებში ეს პროცენტი აღის 20-დე. (გორის მაზრა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის ცაკის დირექტივის გამოცემამდე საქართველოში უკან გაწვეული იყო სულ 69 დეპუტატი, დანარჩენი 2.605 დეპუტატი გაწვეულია ამ დირექტივის შემდეგ; (საანგარიშო კამპანიის დროს, 1928 წლის თებერვალი — მარტი). უკან გაწვეულთა შორის ყველაზე დიდ პროცენტს შეადგენენ უმოქმედო დეპუტატები. მაგალითად, საქართველოში ისინი შეადგენენ უკან გაწვეულ დეპუტატთა 67 პროცენტს.

საქართველოში დეპუტატების უკან გაწვევის დროს ქალებსა და კაცებს ერთნაირად მოჰქცევიან. „უკან გაწვეული დეპუტატი ქალების რიცხვი შეადგენს 11 პროცენტს ყველა უკან გაწვეული დეპუტატების მიმართ, ზოგიერთ მაზრებში კი — 17 პროცენტს; (შორაპნის მაზრა)".

ეს საქმე უკეთეს მდგომარეობაშია აზერბეიჯანში; აქ იშვიათია დეპუტატი ქალების გამორიცხვა; დაირების აღმასკომები ფრთხილად ეკიდებიან სასოფლო საბჭოების დადგენილებათა დადასტურებას, რომლებიც ეხება ქალების გამორიცხვას, და მხედველობაში იღებენ დეპუტატი ქალების მუშაობის პირობებს.

ამგვარად, ა.-კავკასიის ცაკის დირექტივა „დეპუტატების უკან გაწვევის" შესახებ საბჭოების ქვედა ორგანოებს არ დაუმუშავებიათ, მოსახლეობა (სოფლებისა) ჯერ არ იცნობს ამ დირექტივას, საბჭოები თვითონ მექანიკურად რიცხავენ დეპუტატებს (აზერბეიჯანი) ან უკან იწვევენ ამომრჩეველთა დაუკითხავად (საქართველო), რის გამო ჯერ კიდევ შემოღებული არ არის დეპუტატების უკან გაწვევა თვით ამომრჩევლების — მიერ, არსებობს აგრეთვე ამ დირექტივის სხვადასხვანაირად დარღვევის მაგალითები (მექანიკურად გამორიცხვა, უკან გაწვეულის დაუსწრებლობა კრებაზე და სხვა).

ამომრჩევლების მიერ დეპუტატების უკან გაწვევის უფლება საბჭოთა დემოკრატიის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ამიტომ ადგილობრივმა მუშაკებმა უნდა ხელი შეუწყონ ამიერ - კავკასიის ცაკის დირექტივის პოპულიარიზაციას ფართო მასებს შორის და აგრეთვე იმას, რომ მასებმა ფაქტიურად განახორციელონ თავისი უფლება.

ი. ტაგიევი.

უკანასკნელი ცნობები

გამოძახილი ბრიანის სიტყვაზე გერმანიაში

ბერლინი, 12 სექტემბერი. სახალხო პარტია უარყოფითად აფასებს ბრიანის სიტყვას. სოციალ-დემოკრატები აკრიტიკებენ ბრიანის სიტყვას, მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერენ შეთანხმების პოლიტიკის განგრძობას. ასევე იქცევა დემოკრატიული პარტიაც და ცენტრიც (ადს).

6 სახელმწიფოს თათბირი რეინლანდის ევაკუაციის შესახებ

ბერლინი, 12 სექტემბერი. ჟენევაში ექვსი სახელმწიფოს თათბირზე გამართულ მოლაპარაკების დროს გერმანიის დელეგაცია აღნიშნავდა, რომ გერმანია პრინციპიალურად არ ეთანხმება ისეთ შეხედულებას, თითქოს ევაკუაციის საკითხი დამოკიდებული იყოს საფინანსო ვალდებულებათა მოწესრიგებაზე, მიუხედავად ამისა იგი თანახმაა პარალელურად აწარმოოს მოლაპარაკება ევაკუაციისა და რეპარაციების შესახებ (ადს).

კეშენდენის სიტყვის კომენტარიები

ლონდონი, 12 სექტემბერი. „მანჩესტერ გარდიენ"-ი ეხება კეშენდენის სიტყვას ერთა ლიგის პლენუმზე და სწერს: „კეშენდენი ჟენევის სხდომებზე ბრიანის გამოძახილს წარმოადგენდა". „დეილი ჰერალდ"-ი სწერს: „კეშენდენმა გააძლიერა ის მეტად ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ბრიანის სიტყვამ. ეხლა ცხადია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს არ სურთ, რომ შესდგეს განიარაღების კონფერენცია" (ადს).

„კელნიშე ცეიტუნგ"-ი ბრიანის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 12 სექტემბერი. „კელნიშე ცეიტუნგ"-ი შემდეგს სწერს ჟენევაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ: „არსებული მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალი—ბარგის შეკვრა და შინისკენ წამოსვლაა. გერმანიის დელეგაცია ასეთი ნაბიჯით აშკარა პროტესტის განცხადებას მაინც შესძლებს ულირსი მოქმედების წინააღმდეგ. გერმანიის დელეგაციამ უნდა დასტოვოს ჟენევა, ვინაიდან თავისი ადამიანური ღირსებისა და გერმანიის ნაციის ღირსებისათვის ხაზის გასმით არის შესაძლებელი მოწინააღმდეგე მხარის გონზე მოყვანა". ლონდონის კორესპონდენტი იუწყება: „უეჭველია ბრიანის სიტყვა სავსებით შეთანხმებული იყო ინგლისის სახელმწიფოებრივ მოღვაწეებთან. სიტყვის სენსაციური შთაბეჭდილება წინასწარ იყო ნავარაუდევი. იმისათვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ამ უკანასკნელ დროში ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკის განვითარებას, ბრიანის სიტყვა წარმოადგენს აშკარა განცხადებას საერთაშორისო ტრიბუნიდან ახალი პოლიტიკის დაწყების შესახებ" (ადს).

„საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება დამოკიდებულია გერმანიის პოლიტიკის საერთო ორიენტაციაზე"

პარიზი, 12 სექტემბერი. ჟურნალისტების სარწმუნო წრეები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების ბედი, კერძოდ რეინის ოლქის შესახებ გამართულ მოლაპარაკების ბედი დამოკიდებულია არა იმაზე, დათანხმდება თუ არა გერმანია საფინანსო ან პოლიტიკური ხასიათის ამა თუ იმ ცალკე კომპენსაციებზე, არამედ გერმანიის პოლიტიკის საერთო ორიენტაციაზე და იმაზე, თუ რამდენად მზადაა გერმანია მიემხროს ინგლის-საფრანგეთის ბლოკს.

„პტი პარიზიენ"-ის ჟენეველი კორესპონდენტი სწერს: „6 სახელმწიფოს თათბირზე მოისმინეს გერმანიის თვალსაზრისი, რომლის თანახმად მოთხოვნილება რეინის ოლქის დაუყონებლივ ევაკუაციის შესახებ შეადგენს გერმანიის უდავო უფლებას. შემდეგ თათბირზე განავითარეს საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომელსაც ასაბუთებდნენ პოლიტიკურ, სამხედრო და საფინანსო გარანტიებისა და იმ ეკვივალენტების მოთხოვნილებით, რომელნიც შეუძლიათ მოითხოვონ მოკავშირეებმა როგორც უშიშროების, ისე რეპარაციების თვალსაზრისით. უფრო შემარიგებელი პოზიცია, რომელიც დაიკავა ბოლოს გერმანიის კანცლერმა ამტკიცებს იმას, რომ სწორედ დროზე გაისმა ბრიანის სიტყვა და ამ სიტყვით გამოწვეული განმარტებანი" (ადს).

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცეკა პლებისციტის წინააღმდეგია

ბერლინი, 12 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საყოველთაო კენჭის ყრა არ გამოდგება ჯავშნოსანი გემების საკითხის გადასაჭრელად. „კომუნისტები—ნათქვამია დადგენილებაში—საყოველთაო კენჭის ყრაში ხედავენ შესაძლებლობას ცილი დასწამონ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამიტომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველი წევრის მოვალეობაა გაილაშქროს საყოველთაო კენჭის ყრის წინააღმდეგ". გადაწყვეტილებაში შემდეგ გამოთქმულია იმედი, რომ პარტიის პრინციპიალური პოზიცია შეიარაღების საკითხებში გამომუშავებული იქნება პარტიული ყრილობის მიერ 1929 წლის თებერვალში (ადს).

ვანდერველდეს უსტვინეს

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. როგორც ბუენოს აირესიდან იუწყებიან, იქ ჩასულ ვანდერველდეს მუშები შეხვდნენ მტრული დემონსტრაციით, რომელიც არგენტინის კომპარტიამ მოაწყო. ისეთი ყვირილი და სტვენა ასტყდა, რომ ვანდერველდე იძულებული გახდა პოლიციის თანხლებით სასტუმროსათვის შეეფარებია თავი. (ადს).

ტოლსტოის კვირეული

უცხოელი მწერლები ტოლსტოის შესახებ

სტეფან ცვეიგი

მოსკოვი, 12 სექტემბერი. სტეფან ცვეიგმა, რომელიც სიტყვით გამოვიდა ტოლსტოისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე და რომელსაც ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ, შემდეგი სთქვა:

„საუკუნეები გავიდა მანამდე, სანამ დასავლეთ ევროპა დაინტერესდა რუსული ენით და ლიტერატურით. დასავლეთი ისე უყურებდა რუსეთს, როგორც ქვეყანას, რომლისგანაც არაფრის სწავლა არ შეიძლება. დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის ხალხში იწყეს კულტურულ ღირებულებათა პოვნა. ერთ-ერთ ფაქტორს, რომელმაც ხელი შეუწყო აზრის შეცვლას რუსეთზე წარმოადგენს ტოლსტოის შემოქმედება. ტოლსტოის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან ასწავლა დასავლეთელ ადამიანს მისთვის მანამდე უცხო რუსეთის ხალხის გაგება. ტოლსტოიმ უჩვენა ევროპას ახალი ცხოვრების წყარო და აიძულა ის შეეგრძნო იგი ისე, როგორც მას თვით რუსი ადამიანი შეიგრძნობდა. ტოლსტოის შემოქმედების იდეათა წრეში ჩაბმულ იქნენ სხვადასხვა ქვეყნების და კულტურის ადამიანები. მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან რომენ როლანი საფრანგეთში და განდი შორეულ ინდოეთში. ამიტომ,—ამთავრებს თავის სიტყვას ცვეიგი,—დღევანდელი ზეიმი არის საკაცობრიო დღესასწაული და მას ჩვენთან ერთად განიცდიან სხვადასხვა ქვეყნების მრავალი ადამიანები".

ბერნგარდ კელერმანი

გერმანელმა მწერალმა კელერმანმა სთქვა: „როდესაც მე რუსეთის ველებზე ვმოგზაურობდი, თვალწინ წარმომიდგა ტოლსტოის დიადი ფიგურა. ის ჩვენი დროისათვის თითქმის მითია. ტოლსტოი, როგორც მხატვარი ერთად-ერთი თავისებური მოვლენაა".

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბრიანის სიტყვამ გაბოროტება გამოიწვია

მოსკოვი, 12 სექტემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი გადმოგვცემს შემდეგს:

გერმანიის მთელი პრესა, სოციალ-დემოკრატიის გაზეთების გარდა, განსაკუთრებულ გაბოროტებით უკეთებენ კომენტარიებს ბრიანის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ერთა ლიგის სესიაზე. პრესის საერთო დასკვნა ისეთია, რომ ბრიანის სიტყვა წარმოადგენს გერმანია-საფრანგეთის შეთანხმებისაკენ მიმართულ პოლიტიკის დამარცხებას.

სოციალ - დემოკრატები ცდილობენ მნიშვნელობა დაუკარგონ ჟენევაში მომხდარ დიპლომატიურ ინციდენტს და აცხადებენ, თითქოს ბრიანის სიტყვა არის გაცხარების გამოხატულება და სხვა არაფერი.

„ტორგოვო - პრომიშლენაია გაზეტა" ამიერ-კავკასიის ელექტრომშენებლობის შესახებ

მოსკოვი, 12 სექტემბერი. „ტორგოვო - პრომიშლენაია გაზეტა"-ს 12 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით: „ელექტრონის სადგურების აღმშენებლობა ამიერ-კავკასიაში".

წერილში აღნიშნულია, რომ ელექტროსადგურების მშენებლობა ამიერკავკასიაში მეტად დიდხანს გრძელდება არის შემთხვევები, როცა აღმშენებლობა იწყება მანამ, სანამ პროექტი დამტკიცებული არაა, აღმშენებლობის ნორმალურ მსვლელობას აფერხებს. თანხების თავის დროზე მიუწოდებლობა და სხვა, რაც აძვირებს მშენებლობას.

ამიერ - კავკასიის ელექტრომშენებლობაში უკვე მიღებული გამოცდილება გვიკარნახებს, რომ საჭიროა წინასწარ მოხდეს ეკონომიური ბაზისების საფუძვლიანი შესწავლა, ამასთან ერთად აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ აღმშენებლობა უფრო მოკლე ვადით სწარმოებდეს და გაიაფებულ იქნას მისი ღირებულება.

სად როგორ მიდის ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია

ამიერ-კავკასია და უზბეგისტანი ჩამორჩა სხვა რესპუბლიკებს

მოსკოვი, 12 სექტემბერი. „რაბოჩაია გაზეტა"-ს თავის დღევანდელ ნომერში მოჰყავს საერთო ცნობები მთელ საბჭოთა კავშირიდან იმის შესახებ, თუ სად როგორ მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების რეალიზაცია. აღნიშნული ცნობების თანახმად, ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციების განაღდებს მხრივ მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე უკან დგას უზბეგისტანი და ამიერ-კავკასია.

ინჟინერების რიცხვი ორჯერ უნდა გადიდდეს

მოსკოვი, 12 სექტემბერი. საკავშირო ცაკმა და საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად 1932 წლამდი ორჯერ უნდა გადიდდეს ინჟინერების რიცხვი მძიმე მრეწველობაში. ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებს წინადადება ეძლევა მიიღონ ზომები უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა გამუშურებისათვის და ამ სასწავლებლების მჭიდროდ დასაკავშირებლად წარმოებებთან.

ამიერ-კავკასიის ვაშლი რუსეთის ბაზარზე

მოსკოვი, 12 სექტემბერი. „ცენტროსოიუზმა" გადასწყვიტა მიიღოს აქედანვე ზომები იმისთვის, რომ მომავალ წლიდან შესძლოს ვაშლის მთელი მოსავალის შესყიდვა ამიერ-კავკასიაში.

სტეფან ცვეიგი მოემგზავრება თბილისში

მოსკოვი, 12 სექტემბერი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ცნობილი მწერალმა სტეფან ცვეიგმა განაცხადა: როგორც კი დასრულდება ლ. ტოლსტოის იუბილე, მე გავემგზავრები ამიერ-კავკასიაში და კერძოდ თბილისშიო.

მთლიანი პარტიული დღე

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)
თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა მთლიან პარტიულ დღეს 14 სექტემბერს, კომუჯრედების ღია კრებებზე გაიმართოს

მოხსენებები
პარტგანათლების შესახებ

თბილისის კომიტეტის მდივანი სუხიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის VI კონგრესის შედეგები

ამხ. მანუილსკის მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე 10 სექტემბერს 1928 წ.

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების დალაგების დროს მე გამოვდივარ იმ მოსაზრებიდან, რომ თბილისის აქტივის უდიდესი ნაწილი ალბად გულდასმით ადევნებდა თვალყურს კამათს კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესზე და იცნობს ამ კონგრესის დღის წესრიგის ძირითად მოხსენებებს. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ თბილისის აქტივის მნიშვნელოვან ნაწილს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ზოგიერთ რეზოლიუციებს, ამიტომ მიზანშეუწონელი და უნაყოფო იქნება ჩემი სიტყვებით გადმოგცეთ ამ დებატებისა და მოხსენებების შინაარსი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-6 მსოფლიო კონგრესზე. მე ვფიქრობ, რომ მომხსენებლის ამოცანას შეადგენს—დასვას და დაახასიათოს კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის მნიშვნელობის საკითხი, საკითხი იმ ისტორიული ადგილის შესახებ, რომელიც ამ კონგრესს უჭირავს რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებაში დასავლეთსა და ჩვენს ქვეყანაში.

რატომ გაგრძელდა კონგრესის მუშაობა თვენახევარს

მე პირველად მინდა ერთი საერთო შენიშვნა გავაკეთო. მე-6 მსოფლიო კონგრესი 1 ნახ. თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს იყო მუშათა კლასის ყველაზე უფრო ხანგრძლივი პარლამენტი იმ კონგრესებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დღემდე. იბადება კითხვა, რით აიხსნება დებატების იმ ზედმიწევნითი ხასიათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონგრესზე, რით აიხსნება ამ კონგრესის ხანგრძლივობა?

უპირველეს ყოვლისა, ამხანაგებო, მე-6 მსოფლიო კონგრესი, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვა წინანდელი მსოფლიო კონგრესი, იყო შედეგების აღმნუსხველი კონგრესი. ჩვენ ვსწყვეტდით არა ამა თუ იმ ტაქტიკურ საკითხს, დღევანდელი დღის საკითხს, მთლიანი ფრონტის ტაქტიკის პრობლემას, როგორც, მაგალითად, ამ პრობლემას სწყვეტდნენ მე-3 და მე-4 კონგრესები. ჩვენ ჯამი გავუკეთეთ მსოფლიო მეურნეობის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ განვითარებას, ჯამი გაუკეთეთ მსოფლიო მუშათა მოძრაობის მდგომარეობას წარსული ათი წლის განმავლობაში მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან. მეორეს მხრივ, ამხანაგებო, ეს კონგრესი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მან მოგვცა უდიდესი ისტორიული დოკუმენტი, რომლის მნიშვნელობა უფრო ნათლად მხოლოდ შემდეგში გამოაშკარავდება. მე მხედველობაში მაქვს კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა.

შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურის არსებობის ათი წლის თავზე, კომუნისტური მუშათა მოძრაობის ზრდის მეთერთმეტე წლის თავზე პირველად ჩნდება კომინტერნის პროგრამა. ეს არის შეჯამებული გამოცდილება რომელიც საერთაშორისო მუშათა კლასმა მიიღო წარსული ათი წლის განმავლობაში მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. იმავე დროს ეს არის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შეჯამებულ გამოცდილება.

ბოლოს, ამხანაგებო, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ კონგრესის მუშაობის ხანგრძლივობა კერძოდ დამოკიდებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ ეხლა კომინტერნის განვითარებაში გამოვედით 18—19 წლების ერთგვარი, ეგრედწოდებული, პრიმიტივიზმის სტადიიდან, როცა არ არსებობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დიფერენციაცია და როცა შედარებით მარტივად შეიძლებოდა ურთულეს პრობლემების გადაწყვეტა. საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ეხლა დიდი დიფერენციაცია მოხდა. ეხლა კომუნისტს გაცილებით უფრო მეტი მოეთხოვება პრობლემების გადაწყვეტის დროს. ეს კონკრეტულობა იმ ამოცანებისა, რომლებიც ამჟამად სდგას ყოველი სექციის წინაშე, კომუნისტური ინტერნაციონალის ყოველი ხელმძღვანელისაგან, ყოველი ჩვენთაგანისაგან—კომინტერნის მორიგი მუშაკებისაგან—მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ცოდნას, კლასობრივი ურთიერთობის, ამ კლასთა შორის ქვეყნის შიგნით არსებული ურთიერთდამოკიდებულების მოფიქრებულ ანალიზს და აგრეთვე იმის ანალიზს, თუ როგორი გავლენა აქვს საერთაშორისო იმპერიალიზმს კლასობრივი ბრძოლის განვითარებაზე. სწორედ ეს კონკრეტულობა გამოხატავს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დიფერენციაციას.

ბოლოს, ეს კონკრეტულობა სრულებით არ უარყოფს ჩვენი სექციების გაცილებით მეტ ინტერნაციონალიზაციას. პირიქით, კომუნისტური ინტერნაციონალის ყოველი სექციის წინაშე მდგომი ამოცანების ამ კონკრეტიზაციის ნიადაგზე უფრო და უფრო აშკარავდება ჩვენი სექციების მეტი ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობა. ავიღოთ მაგალითი: დაუშვათ, რომ 1918—19—20 წლებში ჩვენ გვქონდა მთელი რიგი შინაპარტიული დავა. სხვადასხვა პარტიები ამ დავას ჩვეულებრივ სწყვეტდნენ ნაციონალური მასშტაბით, ამ თუ იმ პარტიის ვიწრო ფარგლებში. კომინტერნი, მართალია, ერეოდა ამ საქმეში, მაგრამ ძალიან სუსტად. მეტად დამახასიათებელია, რომ ეხლა არ არსებობს არც ერთი შინაური დავა, არ არსებობს კომინტერნის ამა თუ იმ სექციის წინაშე მდგომი არც ერთი შინაური პრობლემა, რომელიც დამოუკიდებლად სწყდებოდეს. იმის გამო, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ავტორიტეტი გაიზარდა, ყოველ პარტიაში არსებული შინაური პარტიული დაჯგუფებანი—მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრის ჯგუფები—ჩვეულებრივ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის მიმართავენ კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ყველა რასების მშრომელთა ინტერნაციონალი

თქვენ დაინახეთ, მაგალითად, მეტად საგულისხმო მოვლენა: კომინტერნის მე-6 კონგრესზე მთელმა რიგმა პარტიებმა დასვეს თავიანთი შინაური დისკუსიის საკითხი, თავიანთი შინაური დავის საკითხი. პოლონეთის პარტიაში, რომელიც ამჟამად ზრდის ერთგვარ კრიზისს განიცდის, არსებობს ორი ფრთა, რომლებიც მკაცრ ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთს შორის. ამერიკის, ჩეხეთის და საფრანგეთის პარტიებშიაც სწარმოებს ეს შინაური ბრძოლა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ მუშათა მოძრაობის მეტად ღრმა დიფერენციაციასთან ერთად სწარმოებს სინთეტიური შეთანხმება კომინტერნთან და ამავე დროს კომინტერნის ავტორიტეტის ზრდა.

ბოლოს, მე მინდა თქვენი ყურადღება მოვაქციო კიდევ ერთ გარემოებაზე. 1918—19—20 წლებში ჩვენ ვმუშაობდით ევროპის კომინტერნში, მე ვიტყოდი მასაც კი, რომ მე-5 მსოფლიო კონგრესზე, რომელზედაც წყდებოდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები გერმანიის 1923 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, ჩვენ უმთავრესად ისევ ევროპის ინტერნაციონალს წარმოვადგენდით, უმთავრესი პრობლემები მაშინ იყო: გერმანიის 1923 წლის რევოლიუციის დამარცხება, საფრანგეთის საკითხები, იტალიის დამარცხება, და სხვ. მხოლოდ ეხლა, კომინტერნის მე-6 კონგრესის მომენტისათვის, 1928 წლისათვის, გამოაშკარავდა, რომ კომინტერნმა მეტად ძლიერ გააფართოვა თავისი მოქმედების სარბიელი.

ჩვენი ინტერნაციონალი ეხლა, ამხანაგებო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მართლაც ხდება მსოფლიო ინტერნაციონალი. არა მარტო ერთი რასის ინტერნაციონალი, არამედ ყველა რასების ინტერნაციონალი. (ტაში).

ამხანაგებო, მე მინდა თქვენი ყურადღება მოვაქციო შემდეგ გარემოებაზე: თქვენ, ალბად, წაიკითხეთ კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე მიღებული რეზოლიუციები, რომლებიც შეეხებოდნენ ისეთი პარტიების მიღებას კომუნისტურ პარტიაში, როგორიც არიან, მაგალითად, კუბას და ახალი ზელანდიის პარტიები, ისეთი სოციალისტური პარტიების მიღებას, რომლებიც კომუნიზმისაკენ მიილტვიან, როგორიც, მაგალითად, კოლუმბიის, ეკვადორის, პერუს, ჩილის და სხვ. პარტიები. ამხანაგებო, ჩვენს წინაშე გადაიშალნენ ახალი კონტინენტები, რომლებსაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად სავსებით ვერ ვამჩნევდით. ჩვენ გვქონდა ძალიან გამარტივებული გამოცდილება, ეხლა კი საქმე გვაქვს უდიდეს კონტინენტებთან.

მე კერძოდ მხედველობაში მაქვს სამხრეთი ამერიკა, სადაც, ჩვენის აზრით, უახლოეს წლებში მოხდება ისეთი ამბები, როგორსაც ადგილი აქვს ჩინეთში. სამხრეთ ამერიკაში ხდება მეტად რთული მოვლენები, რომლებიც უეჭველად მძაფრ რევოლიუციონურ ატმოსფერას ჰქმნიან. იქ ადგილი აქვს, ერთის მხრით, თითქმის ძველი მონობის ნაშთებს, იქ მრავალ რესპუბლიკაში სცხოვრობს ინდოელთა მკვიდრი მოსახლეობა; მეორეს მხრივ, არსებობენ იქ ფეოდალიზმის ნაშთები, მესამეს მხრით, ექსპლოატაციის ახალი ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია იმპერიალისტური ეპოქისათვის. ამ მკვიდრი მოსახლეობის ექსპლოატაცია სწარმოებს უახლოესი მეთოდების მიხედვით და აი, ეს საოცარი შეხამება—ერთის მხრით—მონათმფლობელობის ინსტიტუტი, მეორეს მხრით,—ფეოდალიზმი, მესამეს მხრით—იმპერიალისტური ექსპლოატაციის ახალი ფორმები ჰქმნიან გარდატეხას, რომელიც მეტად დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ იქ მწიფდება პოტენციონალური რევოლიუციონური ენერგია. იქ ამჟამად არსებობს რევოლიუციონური ძალების რეზერვუარი. იმ ძალებისა, რომლებიც რასაკვირველია, უახლოეს წლებში მიმართულნი იქნებიან უპირველეს ყოვლისა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ყოველსავე ამაზე სერიოზული დაფიქრება უხდებოდა კომინტერნს და ამიტომ მე მგონია, რომ მომავალში, ჩვენი მოძრაობის განვითარებასთან ერთად, ჩვენ, ალბად, მოგვიხდება კონგრესების მოწვევაც, რომლებიც არა ნაკლებ ხანგრძლივი იქნებიან.

რასაკვირველია, ჩვენ ბევრი დრო წაგვართვა პროგრამამაც. საკმაოა აღინიშნოს, თუ როგორი სერიოზული ყურადღებით მოეპყრა კომინტერნის ყველა სექცია პროგრამის დამუშავებას: შეტანილი იქნა 900-მდე შესწორება, შენიშვნა, პროექტი და სხ. მთელი ეს მასალა უნდა გადაემუშავებია კომინტერნს.

აი, ამხანაგებო, ის ძირითადი მიზეზი, რომელმაც გააგრძელა კომინტერნის მუშაობა უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

ეხლა გადავალ მოხსენების არსებით მხარეზე.

რა საკითხები განიხილა კონგრესმა

რა გააკეთა მე-6 მსოფლიო კონგრესმა? უპირველეს ყოვლისა მან ჯამი გაუკეთა უდიდეს გამოცდილებას, რომელიც ჩვენმა რევოლიუციამ მისცა მსოფლიო მუშათა მოძრაობას. პროგრამაში, როგორც იცით, სპეციალური თავიც კი არის შეტანილი, რომელიც შეეხება სოციალისტურ მშენებლობას, უფრო სწორედ შეეხება არა მარტო სოციალისტურ მშენებლობას, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს ჩვენი გამოცდილების ნიადაგზე. ძალიან ბევრმა გულუბრყვილო ამხანაგმა განაცხადა, რომ პროგრამა ამის გამო ატარებს რამდენადმე რუსულ ხასიათს, მაგრამ, ამხანაგებო, ეს არის უდიდესი ისტორიული ფაქტი, რომელიც უნდა შეისწავლოს მსოფლიო პროლეტარიატმა და ეს ფაქტი არის საბჭოთა კავშირის არსებობა.

მეორე საკითხი, რომელიც დღეს უნდა განვიხილოთ, არის შედეგების საკითხი, და მე-6 მსოფლიო კონგრესმა მსოფლიო მუშათა მოძრაობას ჯამი გაუკეთა იმ სხვადასხვა ეტაპების ანალიზის ნიადაგზე, რომლებიც განვლილ იქნენ მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში.

ბოლოს, მესამე საკითხი—მე-6 მსოფლიო კონგრესმა ჯამი გაუკეთა ჩინეთის რევოლიუციის უდიდეს გამოცდილებას. ჩინეთის რევოლიუცია კოლონიალურ მოძრაობის ისტორიაში უეჭველია ითამაშებს არა ნაკლებ როლს, ვიდრე ჩვენმა 1905 წლის რევოლიუციამ ითამაშა აღმოსავლეთის ქვეყნებში და კოლონიების გამოფხიზლების საქმეში.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩინეთის ახალგაზრდა კომპარტია კოლონიალური ქვეყნებისათვის და, კერძოდ, დიდ ოკეანეს ქვეყნებისათვის,ისეთი შორეული ქვეყნებისათვის, როგორიც არის ფილიპინის კუნძულები და იაპონია, აუცილებლად ისეთსავე როლს ითამაშებს, როგორსაც დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობისათვის სრ. საკავშირო კომპარტია თამაშობდა.

მეოთხე საკითხი. მეექვსე მსოფლიო კონგრესმა ჯამი გაუკეთა ჩვენს გამოცდილებას ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლოს, მეხუთე საკითხი. მეექვსე მსოფლიო კონგრესმა, როგორც უკვე აღვნიშნე, პროგრამა მოგვცა.

მე შევეცდები ჩემს მოხსენებაში ძალიან გაკვრით და მოკლედ გავაშუქო აი ეს ხუთი ძირითადი საკითხი. დიდხანს არ შევჩერდები პირველ საკითხზე, რადგან საკითხი ჩვენი რევოლიუციის გამოცდილების შესახებ მეტად ნაცნობი საკითხია ჩვენი პროლეტარიატისათვის, ჩვენი აქტივისათვის, მათ რიცხვში თბილისის ალმასკომისათვისაც. მე მხოლოდ მინდა ვსთქვა, თუ რა მხრით ვიხილავდით ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციის გამოცდილების მნიშვნელობას მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის გაკვეთილი

უპირველესად ყოვლისა, ჩვენ განვიხილეთ ის გამოცდილება, რომელიც მოგვცა ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ ძალა-უფლების დაპყრობამდე. სწორედ ამ გამოცდილებას აქვს ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პარტიებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ არ მისულან ძალა-უფლების დაპყრობამდე. საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ შენდებოდა ჩვენი ბოლშევიკური პარტია, როგორ იშორებდა თავიდან ყოველნაირ გადახრას, როგორ შენდებოდა ის დემოკრატიული ცენტრალიზმისა, პარტიული რკინის დისციპლინისა და ბოლშევიკური გამობრძმედილი სიმტკიცის ნიადაგზე—ყველა ამ საკითხს ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის ყველა სექციისათვის. ის, რასაც კომპარტიების ბოლშევიზაციას ვუწოდებთ, გადატანაა იმ გამოცდილებისა, რომელიც ჩვენ ამ რევოლიუციის წინა პერიოდში, 1917 წლამდე მივიღეთ, და ამ უდიდესი, კოლოსალური გამოცდილების გამოყენებაა ჩვენი დასავლეთ-ევროპის სექციების მიერ.

მეორე. ჩვენმა პროლეტარულმა რევოლიუციამ უჩვენა მსოფლიო პროლეტარიატს არა მარტო ის, თუ როგორ უნდა მომზადდეს ოქტომბრის რევოლიუცია, არამედ 1917 წელს მან უჩვენა ისიც, თუ როგორ უნდა დაპყრობა ძალა-უფლებას. ამ გამოცდილებას ამჟამად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნებისათვის, რომელნიც ისეთ ხანას უახლოვდებიან, როცა ეს პრობლემა მათ წინაშე წამოიჭრება. თქვენ უნდა გეხსომდეთ, რომ ადვილი იყო ჩვენი ბურჟუაზიის დამარცხება, ამ უკანასკნელის სისუსტის გამო, მისი ჩამოგდება ისტორიული სასწორიდან, სამაგიეროდ დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატისათვის და, განსაკუთრებით, პროლეტარიატისათვის ამერიკაში, სადაც ბურჟუაზიას მტკიცე ფესვები აქვს გადგმული, სადაც კაპიტალიზმი ძლიერია,—იქ პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლის პერიოდი უფრო სასტიკი და მძაფრი იქნება, ვიდრე ჩვენში. უპირველესად ყოვლისა, ეს უნდა გაიგოს ევროპის პროლეტარიატმა.

მართალია, რაკი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ტეხნიკა გაცილებით მაღლა სდგას, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდიც იქ გაცილებით ადვილი იქნება.

ბოლოს,—მესამე,—ჩვენმა რევოლიუციამ მსოფლიო პროლეტარიატს მაგალითი მისცა არა მარტო იმისა, თუ როგორ უნდა ბრძოლა ძალა-უფლებისათვის, არამედ იმისაც, თუ როგორ უნდა ამ ძალა-უფლების შენარჩუნება. საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით, როდესაც სხვა ქვეყნებს მოწყვეტილი ხარ.

მე მხედველობაში მაქვს სამოქალაქო ომის პერიოდი. ჩვენ ხომ მშვენიერი მაგალითი მივეცით იმისა, თუ როგორ მოუხდება პროლეტარიატს ძალა-უფლებისათვის ბრძოლა პირველ პერიოდში და როგორ მოუხდება ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა. ხოლო ბურჟუაზიის წინააღმდეგობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ჩვენში.

და, ბოლოს, მეოთხე და უკანასკნელი საკითხი არის იმ სოციალისტური მშენებლობის დიდი გამოცდილება, რომელიც წამოიჭრება დასავლეთ-ევროპის პარტიების წინაშე მათ მიერ ძალა-უფლების დაპყრობის მეორე და მესამე დღეს. ამ მხრივ ჩვენ პიონერები ვართ, რომელთაც საერთაშორისო პროლეტარიატს გზა გაუკვლიეთ, და იქ, სადაც ჩვენ გაუბედავ ნაბიჯებსა ვსდგამდით, ევროპის პროლეტარიატი გაკვალულის გზით წავა. ნება მომეცით, ერთი შედარება მოვიყვანო. მე ვფიქრობ, რომ ის როლი რომელსაც თამაშობს ჩვენი პროლეტარიატი, არის როლი ამუნდსენისა, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაფრინდა. ათეული წლების შემდეგ, როდესაც შეიძლება მეეტლეებმაც კი მოახერხონ გადაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზე, უკვე ადვილი იქნება გაფრენა, ადგილი არ ექნება შეცდომებს და არც საჭირო იქნება სიცოცხლის განწირვა, როგორც დღეს. ჩვენ უდიდესი ისტორიული ამოცანა გვხდა წილად, ამოცანა ამ გზების გაკვლევისა, იმისათვის, რომ სიარული გაუადვილდეს ევროპის პროლეტარიატს. ჩვენი რევოლიუციის მიერ დაგროვებული ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ჩვენს პროგრამას და მის ერთ-ერთ ღერძს შეადგენს. ეს შეადგენდა დღის წესრიგის ერთ-ერთ პუნქტს.

საერთაშორისო რევოლიუციის სამი ეტაპი

მეორე საკითხია, საკითხი მსოფლიო და ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ. თუ თქვენ წაიკითხეთ ჩვენი რეზოლიუცია, გეცოდინებათ, რომ ჩვენ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და—მასთან შეხამებით—მსოფლიო მუშათა მოძრაობასა და მსოფლიო კომუნისტური პარტიის განვითარებაში სამი ეტაპი დავსახეთ.

ავიღოთ მსოფლიო ომის ლიკვიდაციის მომენტი. როგორ ეწყობოდა მაშინ საზოგადოებრივი ურთიერთობა? მსოფლიო მეურნეობის შორის კავშირი გაწყვეტილი იყო. თუ მაშინ ზოგ ქვეყნებში, მაგალითად, ევროპაში, ადგილი ჰქონდა სამეურნეო ღირებულებათა ნაკლებ წარმოებას, სამაგიეროდ, ამერიკაში ადგილი ჰქონდა ჭარბ წარმოებას. ნაკლებ წარმოებისა და ჭარბ წარმოების ამ ფონზე ყველაზე უფრო მკაფიოდ აღინიშნა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონი და მისგან გამომდინარე—რევოლიუციონური პროცესების უთანაბროდ განვითარების კანონი.

1919 წლის ნაკლები წარმოების ფონზე ევროპაში ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის რღვევას და ამავე დროს უაღრესად მკაფიოდ იზრდებოდა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონია. ამ ორი ერთ-ერთის საწინააღმდეგო მხარის საფუძველზე ტროცკიმ სცადა აეგო მთელი თეორია, ეგრედ წოდებული „ულუფის თეორია"—მსოფლიო მეურნეობისა და მუშათა მსოფლიო მოძრაობის განვითარების ისტორიაში ისეთი პერიოდი დგება, როდესაც ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები მთელ ევროპას განსაზღვრულ ულუფაზე დასტოვებენო.

მეორეს მხრივ, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მთელი ეკონომიკის რღვევას ევროპის თვითეული ქვეყნის შიგნით; ვალიუტა შერყეული იყო და ამ ნიადაგზე ხდებოდა საშუალო კლასების გაკოტრება. მაგრამ საშუალო კლასების გაკოტრების ნიადაგზე ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ რევოლიუციონერდებოდნენ, რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიას ითვისებდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის მრავალი ელემენტები.

გავიხსენოთ თუნდაც უაღრესად დამახასიათებელი მაგალითი, თუ რას წარმოადგენდა ისეთი ჯგუფი, როგორიც იყო რუტ ფიშერის და მასლოვის ჯგუფი გერმანიის კომპარტიაში. ეს ხალხი გამოხატავდა იმ გაკოტრებული წვრილი ბურჟუაზიის გამოჩენას, რომელიც რევოლიუციონურ დღეებში რევოლიუციის ტალღამ ამოატივტივა და რომელიც ნაპირზე გარიყული დარჩა, როგორც კი რევოლიუციონური ტალღა უკან დაიწია.

ამ ნიადაგზე ჩვენ, ერთის მხრივ, ვხედებით წვრილი ბურჟუაზიის გამემარცხენებას — წვრილმა ბურჟუაზიამ ერთგვარი რევოლიუციონური ფონდი შექმნა,—ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედებით ფაშიზმის განვითარებას, ყოველივე ეს—წვრილი ბურჟუაზიის გამემარცხენებაც და ფაშიზმის ზრდაც იმას ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი რღვევას განიცდიდა.

როდის წამოვაყენეთ „21 პირობა"

რა როლს თამაშობდა ამ პერიოდში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია? საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შიგნით კატასტროფიული მოვლენები ხდებოდა. მუშათა მსოფლიო მოძრაობისათვის, კერძოდ—მასების გამემარცხენებისათვის, ეს პერიოდი ძლიერ დამახასიათებელია. სოციალ-დემოკრატებიდან მთელი ჯგუფების ჩამოცილება კატასტროფიული რღვევის სურათს ჰქმნიდა. გაიხსენეთ, მაგალითად, თუნდაც ჰალეს ყრილობა, როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მთელი ფენები გადმოვიდნენ ჩვენს რიგებში, გაიხსენეთ 1920 წ. მომხდარი ტურის ყრილობა, როდესაც სოც.-დემოკრატ მუშების მთელი ფენები შემოუერთდნენ ჩვენს კომუნისტურ რიგებს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კაპიტალიზმის კატასტროფიული რღვევა კომუნისტური პარტიისაკენ ერეკებოდა სოციალ-დემოკრატ მუშებს და ეს ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალი იძულებული იყო კედლები აღემართა, რათა ამ ტალღას არ წაელეკა იგი. ჩვენ მაშინ 21 პირობა წამოვაყენეთ, რათა თავი დაგვეცვა ამ ტალღისაგან. ეს იყო ხანა კაპიტალიზმის უდიდესი რღვევისა. ამ ხანამ კრიზისის უმაღლესი ფორმა მიიღო 1921 წელს, როდესაც იაპონიაში დაწყებული ეკონომიური კრიზისი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა; ხოლო პოლიტიკაში ამ ხანამ უაღრესად საინტერესო გამოხატულება ჰპოვა: რურის ოკუპაციის ნიადაგზე 1923 წ. გერმანიაში მოხდა ახალი რევოლიუციონური აფეთქება.

უკვე მეხუთე მსოფლიო კონგრესმა გამოარკვია, რომ კაპიტალიზმი პირველ ნაბიჯებს სდგამდა სტაბილიზაციის მიმართულებით თუმცა ეს სტაბილიზაცია ნაწილობრივი და მერყევი იყო, მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე იდგმებოდა მისი მიმართულებით—ხდებოდა მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო ურთიერთობის აღდგენა; და ძლიერ დამახასიათებელია, თუ როგორ გადაინაცვლა ადგილი ცენტრმა მუშათა მოძრაობის შიგნით. ამ პერიოდში, როდესაც ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის ნაწილობრივ და შედარებით სტაბილიზაციას, იზრდება სოციალ-დემოკრატიის გავლენა სოციალ-დემოკრატია მტკიცდება.

ჩვენი კომუნისტური პარტიები მძლავრი განვითარების პერიოდის შემდეგ იძულებულნი გახდნენ რამდენადმე შემდგარიყვნენ, შეემჭიდროვებიათ თავიანთი რიგები, შესდგომოდნენ ორგანიზაციულ განმტკიცებას. ყოველმა ამან ჰილფერდინგს საბაბი მისცა ეთქვა, რომ კომპარტია კაპიტალიზმის კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენსო, კომპარტიას მხოლოდ მაშინ შეუძლია ზრდა, როდესაც კაპიტალიზმი უდიდეს დაბრკოლებებს განიცდისო; მაგრამ კაპიტალიზმის განმტკიცებისთანავე კომუნიზმს ნიადაგი ეცლებაო.

ჰილფერდინგის თეორია

ამხანაგებო, ამის შემდეგ ჩვენ ვუახლოვდებით მესამე ხანას მუშათა მსოფლიო მოძრაობის განვითარებაში, იმ ხანას, როდესაც კაპიტალიზმი თავისი აღდგენითი პერიოდიდან ეგრედ წოდებულ რეკონსტრუქტიულ პერიოდზე გადადის. და აქ უაღრესად დამახასიათებელია ის, რომ განვითარების ამ საფეხურზე, სწორედ რეკონსტრუქტიულ და არა აღდგენით საფეხურზე, კაპიტალიზმი ერთგვარ ნახტომს აკეთებს ტეხნიკის მხრივ. კაპიტალიზმი ნახტომს აკეთებს ელექტროფიკაციის მხრივ, გამოყენებითი ქიმიის მხრივ, ისეთი ინდუსტრიის ზრდის მხრივ,როგორიც არის ხელოვნური აბრეშუმი და ავტო-ტრანსპორტი.

კაპიტალიზმი სცვლის თავის ტეხნიკურ ბაზას, ამაღლებს მას. მაგრამ ამავე დროს უაღრესად დამახასიათებელია, რომ კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა ამ განვითარების ნიადაგზე ვითარდება ახალი კრიზისი, რომელიც არანაკლებ მძიმე იქნება, ვიდრე 1919 წლის კრიზისი. რით განსხვავდება კრიზისის ეს ფორმა 1919—20—21 წლების კრიზისისაგან? 1919—1921 წლების კრიზისი გამომდინარეობდა მსოფლიო ომიდან, მსოფლიო ომის შედეგებიდან, ხოლო ახალი კრიზისი კაპიტალიზმის ზრდის წინააღმდეგობათა ნიადაგზე იზრდება. ამ კრიზისის ფესვებიც რამდენადმე ომის კრიზისშია, მაგრამ ეს კრიზისი დამოუკიდებელია, მე მას ვუწოდებ ომის შემდგომი კრიზისის დამატებით კრიზისს.

ჩვენ ვხედავთ, რომ უდიდეს იმპერიალისტურ ქვეყნებში იქმნება უმუშევართა არმია. მეორეს მხრივ, სიმძაფრე ეკარგება ჭარბ წარმოებას და მსოფლიოს ორ ფრონტათ გაყოფას—ერთის მხრივ ამერიკა, ხოლო მეორეს მხრივ—ევროპა. კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარება აქ თითქოს სიმწვავეს ჰკარგავს. ევროპის კაპიტალიზმი ნახტომს აკეთებს, კერძოდ, ის ნახტომი, რომელიც გერმანიამ უკანასკნელ წლებში გააკეთა. მართლაც საარაკოა. მაგრამ იმ ნიადაგზე, რომ ამჟამად კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჭარბ წარმოებას აქვს ადგილი, მოსახლეობის სყიდვითი სახსრების შემცირების ნიადაგზე, იქმნება გამწვავება.

ამჟამად მსოფლიო კაპიტალიზმი იბრძვის და ყოველი ძალ-ღონით იბრძოლებს ჩინეთისათვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მსოფლიო კაპიტალიზმს აღარ მოეპოვება იმაზე უფრო ფართო მსოფლიო ბაზარი, ვიდრე ჩინეთი. ბაზრების პრობლემა მსოფლიო კაპიტალიზმისათვის ამჟამად გადამწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ამასთან ერთად მწვავდება წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. მეორეს მხრივ, მწვავდება წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო კაპიტალიზმს შორის. ხოლო მესამეს მხრივ, მწვავდებიან ურთიერთობანი კაპიტალისტური ბანაკის შიგნით.

ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ ჰილფერდინგის თეორია, რომელიც ამტკიცებდა—კომუნიზმის წარმატება მხოლოდ კაპიტალიზმის რღვევის დროს არის შესაძლებელი, ხოლო კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის დროს მას ნიადაგი ეცლებაო,—ეს თეორია სასტიკად დამარცხდა.

ყველა ფაქტის მიხედვით, მთელი საერთაშორისო გამოცდილების მხედველობაში მიღების ნიადაგზე, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად პარალელურად ორი პროცესი ხდება: კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ნიადაგზე იზრდება სოციალ-დემოკრატია, იგი იპყრობს წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, მაგრამ ამასთან ერთად, ბევრად უფრო სწრაფი და ძლიერი ტემპით იზრდება კომპარტიების გავლენა. ეს გამოცდილება, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენს პრაქტიკულ რეზოლიუციებში, რომლებიც მივიღეთ კომინტერნის აღმასკომის საანგარიშო მოხსენების გამო. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს გამოცდილება ჩვენს პროგრამაშიაც.

რა დაგვანახვა ჩინეთის რევოლიუციამ

ბოლოს, ამხანაგებო, გადავდივარ მესამე საკითხზე, კოლონიების გამოცდილების საკითხზე.

ჩინეთის რევოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. არ შევჩერდები იმ პრობლემებზე, რომლებიც კონგრესზე იქნა განხილული, როგორიც არის, მაგალითად, დეკოლონიზაციის და ინდუსტრიალიზაციის საკითხი. კონგრესზე ამ საკითხის ირგვლივ წარმოიშვა ორი მიმდინარეობა.

მე ვფიქრობ, რომ ეს დავა ძალიან გამწვავდა. უეჭველია, რომ მრავალმა კოლონიებმა ომის შემდეგ სერიოზული ნაბიჯები გადასდგეს წინ ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ეს ინდუსტრიალიზაცია ახდენს კოლონიების დეკოლონიზაციას. პირიქით, სწორედ კოლონიების ინდუსტრიალიზაციის გამო ბურჟუაზიის ეროვნული ინტერესები და გლეხთა და პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა უფრო და უფრო უპირისპირდება მეტროპოლიის ინტერესებს. მე ავიღებ ისეთ მაგალითს, როგორიცაა ინდოეთი. უკანასკნელ წლებში ხდება ინდოეთის მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია, ინდოეთის ბურჟუაზია ეხლა აყენებს ისეთ ლოზუნგებს, რომელთა მიხედვითაც მოითხოვს საბაჟო უფლებებს, ინდოეთის ბურჟუაზია მოითხოვს ნაციონალურ ბანკს, ბოლოს, ინდოეთის ბურჟუაზია ეხლა იბრძვის ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ პოლიტიკის წინააღმდეგ,რომელიც გამოიხატება იმაში,რომ ინგლისის იმპერიალიზმი ხელოვნურად ამყარებს ფულის კურსს ლონდონის ბირჟაზე და მას ეძლევა საშუალება მიიღოს დამატებით—საექსპორტო პრემიები თავისი საქონლის გატანისათვის ინდოეთში. ყველა ეს ზომა ხელს უწყობს ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს ამ ზომების დანიშნულებაა არა კოლონიების დეკოლონიზაცია, არამედ მათი კოლონიზაცია.

მაგრამ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის გაცილებით უფრო მეტი სერიოზული მნიშვნელობა აქვს ჩინეთის რევოლიუციის გამოცდილებას. ეს გამოცდილება სხვადასხვა მხრივ შეიძლება განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, კონგრესმა ამ გამოცდილებას გაუკეთა ჯამი იმ როლის თვალსაზრისით, რომელსაც თამაშობს და ან ჯერ კიდევ არ ითამაშებს ეროვნული ბურჟუაზია კოლონიალურ მოძრაობაში. კომინტერნის მეოთხე კონგრესმა ჩინეთის რევოლიუციის გამოცდილებას ჯამი გაუკეთა აგრეთვე იმ როლის თვალსაზრისით, რომელსაც წვრილი ბურჟუაზია თამაშობს. მაგრამ ძირითადი პრობლემა, რომელიც იდგა მეექვსე კონგრესის წინაშე,—პრობლემა, რომელზედაც აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ კომუნისტური ინტერნაციონალის და ჩვენი პარტიის ყველა სექცია,—ეს არის არაკაპიტალისტური გზით განვითარების პრობლემა. მეორე კონგრესის თეზისები, რომლებიც ამხ. ლენინმა დასწერა, ეხლაც რჩებიან ძალაში. მაგრამ ამ თეზისებს არ დაუსვამთ ეგრედწოდებული არაკაპიტალისტური გზით განვითარების საკითხები, მათ გვერდი აუხვიეს ამ საკითხებს. ლენინი თავის მოხსენებაში ამბობდა, რომ კოლონიებს განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ გზა სოციალიზმისაკენ გაიარონ სწორედ არაკაპიტალისტური გზით. მაგრამ მეორე კონგრესს კონკრეტულად არ ჩამოუყალიბებია ეს გზები. ეხლა, მეექვსე კონგრესის შემდეგ, ჩინეთის რევოლიუციის გამოცდილების შემდეგ, შეგვიძლია თუ არა დავსვათ ეს პრობლემა ჩვენს წინაშე? უეჭველია, შეგვიძლია. მე ვფიქრობ რომ ჩინეთის რევოლიუცია მიდიოდა სწორედ ამ პრობლემისაკენ, არაკაპიტალისტური გზით განვითარების პრობლემისაკენ. ეს არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარდაქმნის პრობლემა. ეს ურთულესი და მეტად სერიოზული პრობლემაა.

5 პირობა ბურჟუაზიულ---დემოკრატ. სახელმწიფოს სოციალისტურად გარდაქმნისათვის

როგორ სდგას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარდაქმნის საკითხი? როგორი პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ამ რევოლიუციამ შესძლოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციიდან გადაიქცეს სოციალისტურ რევოლიუციად? მე ვფიქრობ, რომ ამისათვის არსებობს ხუთი პირობა.

პირველი პირობა ასეთია: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია, რომ გადაიქცეს სოციალისტურ რევოლიუციად, ამისათვის უნდა არსებობდეს პროლეტარიატი ამა თუ იმ ქვეყანაში, მაგრამ უნდა არსებობდეს არა დაქსაქსული, ამორფულ მდგომარეობაში მყოფი პროლეტარიატი, არამედ ისეთი პროლეტარიატი, რომელსაც აქვს კლასობრივი შეგნების გამოცდილება, ჩამოყალიბებული განსაზღვრულ საორგანიზაციო ფორმებში. თუ არსებობს პროლეტარიატი, რომელსაც აქვს თავისი პროფკავშირთა ორგანიზაციები, ეს უკვე არის ერთ-ერთი პირობა იმისათვის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუცია გადაყვანილ იქნას სოციალისტურ რელსებზე.

არსებობენ თუ არა ეს პირობები ჩინეთში? დიახ, არსებობენ.

ეს პირველი პირობა არსებობს.

მეორე პირობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიის არსებობა. რაში მდგომარე ლიუციად გარდაქმნისათვის არის კომუნისტური პარტიის არსებობა. რაში მდგომარეობდა ტროცკიზმის შეცდომა, რომელიც ჩინეთის რევოლიუციის პირველი ტალღის აფეთქების პერიოდში საბჭოების ლოზუნგს აყენებდა? ეს შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მას არ ესმოდა, რომ საბჭოები, რამდენადაც მათ მკვიდრი დასაყრდენი არ ექნებოდა კომუნისტური პარტიის სახით, არ წარმოადგენენ გარანტიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისათვის. ჩვენ ეს ვიცით რევოლიუციონური მოძრაობის გამოცდილებიდან სხვა ქვეყნებში.

აი სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტიის არსებობა წარმოადგენს წინასწარ პირობას იმისათვის, რომ ჩინეთის რევოლიუცია სოციალისტურ რევოლიუციად გადაიქცეს. ეს დებულება საერთოა ყველა კოლონიალური ქვეყნისათვის. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას 1925 წელს ჰყავდა მხოლოდ 3.000 წევრი. შეეძლო თუ არა მას მაშინ ეკისრა ასეთი უდიდესი ისტორიული როლი? განსაზღვრულ პირობებში, როცა რამდენიმე პროლეტარული დიქტატურა არსებობს, მას შეუძლია ამ როლის შესრულება. მაგრამ ისეთ პირობებში, როცა არსებობდა მარტო ერთი პროლეტარული დიქტატურა, ჩინეთის ახალგაზრდა კომპარტიას არ შეეძლო ეკისრა ასეთი დიდი ისტორიული ამოცანა. ეხლა ჩინეთის კომპარტიაში ირიცხება 100.000-მდე წევრი, მიუხედავად უსაშინელესი რეპრესიებისა და მიუხედავად იმისა, რომ 80.000-მდე კომუნისტი ამოხოცილ იქნა ჩინეთის რეაქციის მიერ. განსაზღვრულ პირობებში, თუ ეს 100.000 წევრი მართლაც იქნება მსხვილ წარმოებებში,—იგი შეადგენს სერიოზულ ძალას, რომელსაც შეუძლია იკისროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარდაქმნის ინიციატივა.

ბოლოს მესამე პირობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისათვის მდგომარეობს იმაში, რომ რევოლიუცია წავიდეს იმ მიმართულებით, რომელსაც მარქსი უწოდებდა „რევოლიუციონური პროგრესის აღმავალ ხაზს". თუ არსებობს რევოლიუციონური პროცესის აღმავალი ხაზი, ასეთ პირობებში უეჭველად შესაძლოა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე.

მაგრამ, მაგალითად, როცა ტროცკი ერთ-ერთ თავის დოკუმენტში, რომელიც მან კომუნისტურ ინტერნაციონალს და მეექვსე კონგრესს გამოუგზავნა, სწერს, რომ კანტონის აჯანყება უკვე იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის გარდაქმნა სოციალისტურ რევოლიუციად,—ეს მართალი არ არის, ეს არის უდიდესი შეცდომა; ეს არის პირწავარდნილი ესერული სუბიექტივიზმი. კანტონის აჯანყება რომ ახალი რევოლიუციონური ბრძოლების დაწყების გამოხატულება ყოფილიყო, მაშინ ამ აჯანყებას სწორედ საეტაპო მომენტის როლი შეიძლებოდა ეთამაშნა ბურჟუაზიულდემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარადაქმნის საქმეში. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ კანტონის აჯანყება იყო რევოლიუციონური ქარტეხილის ჩადგომის შორეული გამოძახილი, უკანდახეული პროლეტარიატის საარიერგარდო ბრძოლა, სწორედ ამიტომ არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ეს აჯანყება ნიშნავდა ბურჟუაზიულდემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარდაქმნას.

მეოთხე პირობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციად გარდაქმნისათვის არის ის, რომ ასეთ რევოლიუციას თავდადებით დაუჭიროს მხარი ღარიბმა გლეხობამ. ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, რომ 1905 წლის რევოლიუციაში მთელი გლეხობის ძირითად მასებთან ერთად ვებრძოდით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

თებერვლის რევოლიუციის წინ ჩვენ თან გავყოლიეთ გლეხობის ძირითადი მასა, ხოლო როდესაც ოქტომბერს მიუახლოვდით, ჩვენ შინაგან ძალთა გადაჯგუფება მოვახდინეთ და მაშინ ჰეგემონიის იდეიდან პროლეტარიატის დიქტატურის იდეას დავუახლოვდით.

სათანადო გადაჯგუფება მოხდა და ჩვენ მივდიოდით არა მთელი გლეხობის კოლონებით, არამედ მივუახლოვდით ოქტომბრის მხოლოდ ღარიბი გლეხობის კოლონაზე დაყრდნობით.

ბოლოს, უკანასკნელი, მეხუთე ფრიად სერიოზული პირობა, რომელსაც მეექვსე მსოფლიო კონგრესი უკავშირებდა საკითხს არაკაპიტალისტური გზების შესახებ,—არის საკითხი პროლეტარული დიქტატურის არსებობის შესახებ სხვა ქვეყნებში. ჩვენ რომ მახლობელ წლებში მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვება განვიცადოთ, მაშინ, ეჭვს გარეშეა; საკითხი ჩამორჩენილ ქვეყნებში რევოლიუციის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის შესახებ ჩვენთვის პრაქტიკული საკითხი გახდება. მაგრამ იმ დრომდე, სანამ პროლეტარულ დიქტატურას არ გაუმარჯვნია მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, სანამ ჩვენ დიქტატურა მხოლოდ ერთ ქვეყანაში გვაქვს, არის თუ არა ის საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ კლასობრივი ურთიერთობა შესცვალოს?

რათ განიცადა დამარცხება ჩინეთის რევოლიუციამ? იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც მას მსოფლიო კაპიტალი აწვებოდა, მარტო საბჭოთა კავშირის დახმარება არ იყო საკმარისი ამ რევოლიუციის სოციალისტურ რელსებზე გადასაყვანად. ეს დახმარება უფრო რეალური და ნამდვილი იქნებოდა კიდევ ერთის პირობით, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი განიცდიდეს ისეთ ნგრევის ხანას, როგორც ომის პერიოდში განიცდიდა, რომ ის კრიზისის პერიოდს განიცდიდეს. მაშინ საბჭოთა კავშირი ის ცენტრი იქნებოდა, რომლის გარშემოც თავს მოიყრიდა მთელი სოციალური და რევოლიუციონური—მოძრაობა. ამჟამად საბჭოთა კავშირის დახმარება არ იყო საკმარისი ტევაზე გადასვლა. და სწორედ ამიტომ, მეხუთე ძირითადი პირობა არ არსებობს.

აი ამ ხუთ ძირითად პირობას ჩემის ღრმა რწმენით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ვინ და რატომ ემზადება ომისათვის

ბოლოს, ამხანაგებო, მეოთხე საკითხი—ეს არის საკითხი ომის შესახებ. მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ პაციფიზმის ხანა გამოაცხადა. ის გვარწმუნებდა, რომ ეს ომი უკანასკნელი იყო და მსოფლიო მუშათა კლასი საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ახალი ომი არ დაუშვასო.

ამჟამად, ამხანაგებო, იმისათვის, ვინც თვალყურს ადევნებს მსოფლიო სარბიელზე კონფლიქტების განვითარებას, სავსებით ცხადია, რომ მწიფდება ახალი მსოფლიო ომი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ომში პარტნიორები, მთავარი დირიჟორები იქნებიან არა ინგლისი და გერმანია როგორც 1914 წელს, არამედ, ჩრდილ.-ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. ამ ორი პოლიუსის გარშემო თავს მოიყრიან ყოველნაირი კოალიციები. ეს ფაქტორი განსაზღვრავს მახლობელ წლებში მსოფლიო კონფლიქტების მთელს ხაზს.

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ომმა იფეთქოს კაპიტალისტური ფრონტის ერთ რომელსამე ნაწილში. ამჟამად დედამიწაზე არის 20 ისეთი პუნქტი, რომელთაგან თვითეული თავისებურ სარაევოს წარმოადგენს, სადაც შესაძლოა ომმა იფეთქოს: მაროკო, სირია, ბალკანეთი, ხმელთაშუა ზღვა, წყნარი ოკეანე და სხვ. მაგრამ ყოველი ომი, როგორც ბალკანეთის 1913 წლის ომი, მოჰყვება საერთაშორისო ურთიერთობის ისეთს ტრიალში, რომ ის იფეთქებს, როგორც ორთქლი კაპიტალისტურ ქვაბში.

რისთვის ასტყდება ომი? უპირველესად ყოვლისა, ის მზადდება ინგლისსა და ამერიკას შორის (უფრო სწორედ: უკვე სწარმოებს ეკონომიური ომი) ისეთი ნედლეულის წყაროებისათვის როგორიც არის ნავთი, კაუჩუკი და სხვ.

მეორე, ის სწარმოებს კოლონიებისათვის. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც გერმანია 1914 წელს, მსოფლიო არენაზე გამოვიდა მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა უკვე დანაწილებული იყო.

კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების ერთ-ერთი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ახალი სახელმწიფო წარმოიშობა, ის სცდილობს ცეცხლითა და მახვილით შესცვალოს წინა ისტორიული ეპოქის მიერ შესრულებული განაწილება ქვეყნისა.

კოლონიებისათვის ომი უკვე სწარმოებს. მაგალითად, სამხრეთ-ამერიკაში, არგენტინაში, ეკვადორში, კოლუმბიაში, ვენეცუელაში, ბრაზილიაში და სხვა ადგილებში ინგლისის კაპიტალიზმი, რომელმაც აქ ღრმა ფესვები გაიდგა, ებრძვის ამერიკის იმპერიალიზმს, რომელიც ანხორციელებს ამერიკელების ლოზუნგს „მთელი ამერიკა ამერიკელებისათვის". ეს ბრძოლა მედგარი და ხანგრძლივია, იგი უსათუოდ დიდი შეიარაღებული შეტაკებით სრულდება, რასაც მოჰყვება მრავალი შეიარაღებული შეტაკება და აჯანყება კოლონიალური გლეხთა მასებისა, რომლებიც მოსახლეობენ სამხრეთ-ამერიკის კონტინენტზე.

ამავე დროს ინგლისში ხდება რღვევის პროცესი. ინგლისი, რასაკვირველია—ერთგვარი შენიშვნით, ისეთ შეკოწიწებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, როგორიც იყო 1914 წლამდე ავსტრია, ამ თვალსაზრისით ინგლისი ამჟამად განიცდის თავისი დომინიონების გამოყოფისაკენ ლტოლვის პერიოდს.

არის კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც ახალ ეპოქაში დიდ როლს ითამაშებს. მე ვიტყოდი —განვლილი ისტორიული პერიოდი ატლანტის პერიოდი იყო. ის პერიოდი კი, რომელშიაც ჩვენ ფეხი შევდგით, ომის საფრთხით, რომელიც მწიფდება ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის, ინგლისის ჩარევით,—არის წყნარ ოკეანეს პერიოდი. პერიოდი ბრძოლისა იმ დიდ საზღვაო გზისათვის, რომელნიც მომავალში გადამწყვეტ როლს ითამაშებენ. ეს კონფლიქტი ამჟამად მწიფდება. და აქ აშკარავდება გაკოტრება სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და ამერიკის მუშებს უმტკიცებდა—ვილსონის 14 პუნქტი კაცობრიობას ახალი ტალღებისგან იცავსო.

რა ლოზუნგით მზადდება და დაიწყება ომი

ძნელია თქმა, ასტყდება თუ არა ეს ომი იმ კონფლიქტზე ადრე, რომელსაც ჩვენთვის უფრო აქტუალური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომზე ადრე. მაგრამ მე ვფიქრობ, —და ჩვენ ყველანი კომინტერნში ვფიქრობთ, —რომ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული ეს გადამწყვეტი წინააღმდეგობა არის ის ძირითადი წინააღმდეგობა, სადაც პირველად გადაიჭრება საერთაშორისო კონფლიქტი. ეს ომი წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, მისთვის უნდა ვემზადოთ.

რა ლოზუნგით ამზადებს ამჟამად მსოფლიო ბურჟუაზია ამ ომს? როგორ ამზადებს იგი მას იდეოლოგიურად? არა ერთხელ თქმულა იმ როლის შესახებ, რომელსაც თამაშობს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია „წითელი იმპერიალიზმის" შესახებ პროპაგანდის საქმეში, დასასრულ, იმ როლზე, რომელსაც დასავლეთ ევროპაში ტროცკისტული ოპოზიცია თამაშობდა, როდესაც ის ამბობდა, რომ ჩვენ ტერმიდორისკენ დავეშვით.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკაში დამახასიათებელია არა მარტო ის რომ იგი აგიტაციას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ ისიც, რომ იგი მშვიდობიანობის დაცვის ლოზუნგით ომს ამზადებს. მშვიდობიანობის დაცვის ლოზუნგით მსოფლიო კაპიტალიზმი და მსოფლიო სოციალ-დემოკრატია ომს ამზადებენ. და ისე როგორც 1914 წელს, ვთქვათ, თვითეული ბურჟუაზიული მინისტრის პორტფელში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია იდო ომის გასამართლებლად, სწორედ ასევე ამჟამად მსოფლიო ომი ჩატარდება მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

ვინ შეასრულებს ამ როლს? უეჭველია, ერთა ლიგა. თუ კაპიტალისტური მსოფლიო ომს გაბედავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მას ზურგს უკან მეტად მოუსვენარი პროლეტარიატი ჰყავს, თუ ის გაბედავს ომის ატეხას, ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ის ჩააგონებს მშრომელ მასებს, რომ მშვიდობიანობას სწორედ საბჭოთა კავშირი არღვევს. ამაში მდგომარეობს ამჟამად საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთელი პოლიტიკა, ამაში მდგომარეობს მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი პოლიტიკა: ისინი ომს ამზადებენ და თან პაციფიზმის ბაირაღი უჭირავთ ხელში.

აი, რა ლოზუნგით მზადდება ახლა ომი. აქედან თქვენ ხედავთ, თუ რატომ ვსთქვით მე-VI მსოფლიო კონგრესზე, რომ ამჟამად კაცობრიობისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ეს პაციფისტური პროპაგანდა. კომუნისტური პარტიების უპირველესი ამოცანაა—ამხილოს იგი, შარაზე გამოიტანოს და დაანახვოს საერთაშორისო პროლეტარიატს.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ომის საფრთხეს

1922 წელს ვ. ი. ლენინმა დაუწერა ცნობილი „ჰააგის ინსტრუქცია" იმ დელეგაციას, რომელიც ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე მიემგზავრებოდა. მაშინ, როგორც იცით, სოციალ-დემოკრატია კრიზისს განიცდიდა და კომუნისტურ ინტერნაციონალს კარს უკაკუნებდა. მაშინ ბევრი სოციალ-დემოკრატი ამბობდა: „ომს საყოველთაო გაფიცვით გავცემთ პასუხსაო". საერთაშორისო რეფორმიზმისათვის ეს იყო მეტის მეტად ხელსაყრელი ფორმა ბრძოლისა ომის წინააღმდეგ. თუ საყოველთაო გაფიცვა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ, ცხადია, დამნაშავე იქნებოდა პროლეტარიატი, რომელიც არ აჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებს. ეს იყო ვერაგული ანგარიში, მაგრამ, მეორეს მხრით, იგი წარმოადგენდა ცარიელ ფრაზეოლოგიას.

1914 წლის მსოფლიო ომის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საყოველთაო გაფიცვა ომის პასუხად ვერ გამოდგება. საყოველთაო გაფიცვა ომის პასუხად მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუ ომს რევოლიუციით უპასუხებთ, რადგან საყოველთაო გაფიცვა რევოლიუციის შესავალია. ჩვენ საყოველთაო გაფიცვას შეიარაღებულ აჯანყებად ვაქცევთ, როგორც ეს დაგვანახვა 1905 წლის გამოცდილებამ.

ლენინი გვაფრთხილებდა უშინაარსო ფრაზეოლოგიისაგან მაშინაც, როდესაც ამსტერდამი ამბობდა, ჩვენ საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგს წამოვაყენებთო. განსვენებული ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, საჭიროა, ჩვენმა დელეგაციამ ჰააგაში ამხილოს ეს ლაყბობა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი კომუნისტის სიტყვებშიაც ასეთი ჰანგები გამოსჭვიოდა.

ბევრ ჩვენს საზღვარგარეთელ ამხანაგს „ჰააგის ინსტრუქცია" მიაჩნდა ისეთ ინსტრუქციად, რომელიც აღნიშნავდა, რომ ომი აუცილებელია და ომის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობთო.

მე მგონია, ასეთი ფატალისტური წარმოდგენა არ არის კომუნისტური ინტერნაციონალისა და კომუნისტური პარტიების იდეოლოგია. მე-VI მსოფლიო კონგრესი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მას ღრმად შეგნებული ჰქონდა ჰააგის ინსტრუქცია". აფასებდა მას და მის პროპაგანდას ეწეოდა და ამავე დროს უდიდესი აქტივიზაციის ლოზუნგს აყენებდა ომთან ბრძოლის საქმეში. ძალიან დამახასიათებელია, რომ მე-VIII პლენუმზე, რომელმაც მიიღო ძირითადი თეზისები ომის საკითხის გამო, ოპოზიციამ ვერაფერი სთქვა გარდა იმისა, რომ წინადადება შემოიტანა „ჰააგის ინსტრუქციის" მიღების შესახებ. მაგრამ, ამხანაგებო, „ჰააგის ინსტრუქციის" გარდა, რომელიც, უეჭველია, სწორედ და ღრმად ითვალისწინებდა მდგომარეობას ომის მომენტში და ებრძოდა უშინაარსო ფრაზეოლოგიას, ლენინს აქვს აგრეთვე წინადადება ბაზელის კონგრესზე, ლენინს აქვს ომთან ბრძოლის გამოცდილება არალეგალური ორგანიზაციის შექმნის გზით, აჯანყებათა და გაფიცვათა საშუალებით, და ამ თვალსაზრისით შეუძლებელია „ჰააგის ინსტრუქციის" განხილვა სრულიად განკერძოებით, როგორც ამას ოპოზიცია სჩადიოდა. იგი უნდა განვიხილოთ ომის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ჩვენს საშუალებასთან ერთად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ახლა, როდესაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ ახალი ფორმა მიიღო, როდესაც იგი უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება, ომთან ბრძოლის საკითხი უნდა დავაყენოთ ინტერნაციონალურ რელსებზე. დღევანდლამდე ომთან ბრძოლას ვაწარმოებდით უმთავრესად ცალკე სახელმწიფოების ფარგლებში, მაგრამ ეპოქა, რომელიც ჩვენ წინ იხატება, უაღრესის აუცილებლობით სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ომის საწინააღმდეგო ბრძოლა გადავიტანოთ საერთაშორისო რელსებზე.

ამ ეპოქის დამახასიათებელი თვისებაა—კაპიტალის საერთაშორისო ტრესტიფიკაცია, რომელიც ჰქმნის კაპიტალის უდიდეს ინტერნაციონალურ გაერთანებებს. ეს უდიდესი ინტერნაციონალური გაერთიანებანი სოციალ-დემოკრატიას მიაჩნია, ასე ვსთქვათ, მშვიდობიანობის გარანტიად. მას არ ესმის, რომ ამ გაერთიანებათა შიგნით ბრძოლა სწარმოებს, ეს კი ომის ერთი წინასწარი პირობათაგანია მაგრამ რამდენადაც საერთაშორისო კაპიტალი ერთიანდება, იგი ჰქმნის პირობებს პროლეტარიატის გაერთიანებული გამოსვლისათვის.

რა გვიჩვენა ბრძოლის გამოცდილებამ? ავიღოთ, მაგალითად, საყოველთაო გაფიცვა ინგლისში.

ავიღოთ ჩინეთის რევოლიუცია. კომინტერნმა არა ერთხელ წამოაყენა გამოსვლათა საჭიროების ლოზუნგები ჩინეთის რევოლიუციის სასარგებლოდ. მაგრამ ამ გამოსვლებს მეტისმეტად უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდა. ამიტომ ჩვენ მე-VI კონგრესზე დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთსა და იმავე დღეს საერთაშორისო გამოსვლათა მოწყობა მსოფლიო ომისა და საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგ. უკვე საკოსა და ვანცეტის კამპანიამ დაგვანახვა, რომ ასეთი გამოსვლის მოწყობა შესაძლებელია, საჭიროა და ამას გვიკარნახებს საერთო მდგომარეობა.

დიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი

მეხუთე საკითხია—პროგრამის საკითხი. მე უკვე ვსთქვი, რომ ეს პროგრამა უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

ამხანაგებო, რითი განსხვავდება ჩვენი პროგრამა „კომუნისტური მანიფესტისაგან"? უეჭველია, მანიფესტის თეორეტიული მიზანი უფრო შორეული იყო, გადაიკითხეთ ეხლა კომუნისტური მანიფესტი და დარწმუნდებით, რომ მარქსი კაპიტალიზმის განვითარებას განსაზღვრავდა უახლოესი ათი წლის განმავლობაში კი არა, არამედ მან მთელი ისტორიული ხანა აიღო. რომელიც ჩვენ გვყოფს პროლეტარიატის გამარჯვებისაგან მთელ მსოფლიოში. შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ კომინტერნის პროგრამას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მაგალითად „კომუნისტურ მანიფესტს"? მე ვფიქრობ, შემცდარნი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ კომინტერნის პროგრამას ისეთივე თეორეტიული მანძილი აქვს აღებული, როგორც „მანიფესტს". არა, ამხანაგებო, ჩვენი პროგრამა „მანიფესტისაგან" იმით განსხვავდება, რომ იგი, უმთავრესად, დაფუძნებულია უკანასკნელი ათეული წლების საერთაშორისო გამოცდილების შეჯამებაზე.

მარქსი თავის „მანიფესტს" სწერდა კაპიტალისტური განვითარების ზოგადი ანალიზის საფუძველზე, მაგრამ მან ამავე დროს უდიდესი ისტორიული ალღო გამოიჩინა. ჩვენ უფრო ზომიერნი ვიყავით ჩვენი პროგრამის შედგენის დროს და ვერიდებოდით ყველაფერს, რასაც ასე თუ ისე შორეული ვარაუდის ხასიათი ექნებოდა. ჩვენი პროგრამა, განსაზღვრულის აზრით, უფრო კონკრეტულია. იგი საგანს სინჯავს და სვამს მთელ რიგ საკითხებს.

„კომუნისტურ მანიფესტს" დღევანდლამდე თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მაგრამ შესაძლებელია, რომ ბევრმა საკითხმა რომელიც ახლა კომინტერნის პროგრამაშია დაყენებული, სახე შეიცვალოს გამოცდილების საფუძველზე, ერთგვარი დამატება იქნას შეტანილი და სხვა.

ბოლოს, მარქსი თავის „მანიფესტს" სწერდა კაპიტალისტური განვითარების მხოლოდ ზოგადი ანალიზის საფუძველზე. ჩვენ კი პროგრამას ვწერთ კაპიტალისტური განვითარების ზოგადი კანონების ანალიზის საფუძველზე. აგრეთვე იმპერიალისტური ხანისა და პროლეტარული რევოლიუციის პერიოდის გათვალისწინების საფუძვლებზედაც. ამიტომ ჩვენი პროგრამა უფრო ცოცხალია და უფრო შეეფერება დღევანდელი დღის პრაქტიკულ მოქმედებას, ვიდრე „მანიფესტი", რომელსაც უფრო თეორეტიული გეზი აქვს.

ამხანაგებო, თუ თქვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის თვალით შეხედავთ იმ ამოცანებს, რომლებსაც ისახავს მე-II ინტერნაციონალი, იძულებულნი იქნებით, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნოთ, რომ სწორედ მეორე ინტერნაციონალს არა აქვს საერთო პროგრამა ყველა თავისი სექციისათვის.

რითი აიხსნება ეს გარემოება? ეს იმით აიხსნება, რომ მეორე ინტერნაციონალის თვითეული სექცია წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, თავისი ეროვნული ბურჟუაზიის ნაწილს, რატომ აქვს კომინტერნს თავისი ერთიანი პროგრამა? იმიტომ, რომ ჩვენ ცალკე პარტიების მექანიკურ ჯამს კი არ წარმოვადგენთ, არამედ მთლიანი საერთაშორისო კომუნისტური პარტია ვართ. თუ ერთმანეთს შევადარებთ მეორე ინტერნაციონალის იდეურ არსებობას ომამდე და ახლა, ომის შემდეგ, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ თვითეული მისი სექცია გამსჭვალულია მხოლოდ თავისი ეროვნული ინტერესით.

რატომ ექცეოდნენ ტროცკიზმს ასეთი უდიდესი ყურადღებით ჩვენი კომუნისტური პარტიები? იმიტომ, რომ ტროცკიზმის საკითხი მარტო რუსული მოვლენა კი არ არის, არამედ საერთაშორისო ხასიათის მოვლენაა. ტროცკიზმი გამოხატავდა საერთაშორისო კაპიტალის გაძლიერებულ მიწოლას საერთაშორისო მუშათა კლასზე და მის ციხე-სიმაგრეზე. ამიტომ დავა არ სწარმოებდა მხოლოდ ჩვენი პარტიის შიგნით.

ჩვენ მსოფლიო კომუნისტური პროგრამა გვაქვს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ პროლეტარიატის მსოფლიო პარტიას, ჩვენ ვიცავთ პროლეტარიატის ინტერესებს ინტერნაციონალური და არა ნაციონალური მასშტაბით. ამით დიდად განსხვავდებით მეორე ინტერნაციონალისაგან.

(დასასრული იქნება)

კომინტერნის კონგრესის დელეგატები საქართველოში

გამგზავრება თბილისიდან

12 დეკემბერს დილით თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა კომინტერნის მე-VI კონგრესის დელეგატების ჯგუფი. (ადს).

გორში

გორი, 12 სექტემბერი. ამხ. შამშე ლეჟავას თანხლებით აქ ჩამოვიდნენ კომინტერნის მე-VI კონგრესის დელეგატები პოლიტი, ბერნარი და სხვ. სადგურზე დელეგატებს შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა, პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, წარმოებათა მუშები და მოსამსახურენი და აგრეთვე წითელი არმიის წარმომადგენლები. მიტინგზე, რომელიც ქალაქში მოხდა, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პოლიტი და ბერნარი, რომელთაც თავის სიტყვებში აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს მიღწევები. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ კონსერვების ფაბრიკის მუშა ხიროვი და წითელი არმიელი ამხ. ბარბაქაძე, რომელმაც აღუთქვა დელეგატებს, რომ წითელი არმია მედგრად დაიცავს მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას (ადს).

ქუთაისში

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისში ჯერ კიდევ შუადღისას იცოდნენ, რომ კომინტერნის დელეგატები ჩამოვიდოდნენ. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს. საღამოს ხუთ საათზე რკინის გზის სადგურთან დაიწყო თავის მოყრა პროფკავშირებმა და ჯარის ნაწილებმა.

საღამოს 7 საათზე, როცა უნდა მოსულიყო მატარებელი, ზღვა ხალხმა მოიყარ თავი, სადგურის ახლო მახლო ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით.

სადგურის ბაქანზე დელეგატებს შეხვდნენ ადგილობრივი პარტიულ. პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელნი და საპატიო რაზმი წითელ არმიელებისაგან. დელეგატების გამოჩენას მქუხარე ტაშის ცემით და „ინტერნაციონალით" შეხვდნენ.

დელეგატები ხელში აყვანილი წაიყვანეს ბაქანიდან სადგურის უკანა კიბემდე. მათ გამოჩენას დაუსრულებელი „ვაშას" ძახილით შეხვდა ხალხი. რამდენიმე ორკესტრი უკრავდა „ინტერნაციონალს".

ადგილობრივი სამაზრო პარტკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა და მიტინგი გახსნილად გამოაცხადა ამხ. **ცაბარეიშვილმა**. შემდეგ, მისასალმებელი სიტყვით მიმართეს დელეგატებს პროფბიუროდან ამხ. **აფხაიძემ**, მუშებიდან—ამხ. **ცხირელმა**, გლეხებიდან ამხ. **ნამჩევაძემ**, წითელ არმიელებიდან—ამხ. **ლვინძილიამ** და **შემშიკინმა**. კომკავშირიდან—**ბერიძემ**

სადგურიდან დელეგატები გაემგზავრნენ საგანგებოდ მოწყობილ საპატივცემულო ვახშამზე.

დელეგაცია ერთი დღე დარჩება ქუთაისში და. შემდეგ, თუ ამინდმა ხელი შეუწყო, გაემგზავრება რაჭისაკენ.

ამხ. რუძუტაკის განკარგულება

პურის დამზადების საქმეში შემჩნეულ დეფექტების აღმოფხვრის შესახებ

მოსკოვი, 12 სექტემბერი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რუძუტაკის მიერ ხელმოწერილი ქვემომოყვანილი განკარგულება საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეების, საოლქო, საგუბერნიო, რაიონისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების და სოფლის საბჭოების თავმჯდომარეების სახელზე:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულ იქნა პურის დამამზადებელი აპარატის გაერთიანება და რეორგანიზაცია, გამოცხადდა მთავრობის მრავალი სრულიად ნათელი და კატეგორიული დადგენილება ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ დამამზადებელთა შორის და პურის იძულებით ჩამორთმევის ლიკვიდაციის შესახებ, რა სახითაც არ უნდა სწარმოებდეს იგი, ადგილებიდან მაინც მოდის ცნობები, რომ გრძელდება ბრძოლა და კონკურენცია სააქციო საზოგადოების „სოიუზხლებ"-სა და სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერაციას შორის, აგრეთვე თვით კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, მოდის ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, რომ არის ფარული სახით პურის იძულებითი დამზადების შემთხვევები, რაც დეზორგანიზაციას იწვევს ბაზარზე და რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს პურის დამზადების კამპანიის ნაწილობრივი ჩაშლა. მასალებიდან სჩანს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ უწევენ წინააღმდეგობას პურის დამზადების საქმეში მთავრობის პოლიტიკის ზემოაღნიშნულ გადამახინჯებებს პურის დამამზადებელთა მიერ, ხოლო ზოგიერთი შემთხვევები საშუალო და ქვედა საბჭოთა ორგანოები ხელსაც აფარებენ და დახმარებასაც უწევენ მათ. ასე, მაგალითად, შემჩნეულია შემთხვევები, როდესაც საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონის აღმასრულებელი კომიტეტები და სოფლის საბჭოები, პურის ამა თუ იმ დამამზადებლისათვის მფარველობის გაწევის მიზნით, უკრძალავენ მეორე დამამზადებელს გახსნას ჩასაბარებელი პუნქტები. ხოლო უკვე გახსნილ პუნქტებს ხურავენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტების გახსნა ნებადართული იყო ხელისუფლების მაღლა მდგომ ორგანოების მიერ. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც სოფლის საბჭოები უკრძალავენ გლეხებს პურის გატანას ჩასაბარებლად მათი რაიონის ფარგლებიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების სავაჭრო განყოფილებები არ ასრულებენ ან აგვიანებენ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების სავაჭრო განყოფილებების და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების განკარგულებათა შესრულებას, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, დაუყოვნებლივ მოხდეს ლიკვიდაცია ყოველგვარი კონკურენციისა და შეუთანხმებლობისა პურის დამამზადებელ ორგანოთა მუშაობაში, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოისპოს მთავრობის კანონების და დადგენილებების აგრეთვე მის ორგანოთა განკარგულებების გადამახინჯების შემთხვევები. ამიტომ იგი წინადადებას აძლევს ადგილობრივ საბჭოთა და აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ყოველგვარი გადამახინჯება პურის დამზადების დარგში, მიიღონ ღონისძიებანი მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა და განკარგულებათა მტკიცედ დაცვისათვის. მათ დაუყოვნებლივ პასუხისგებაში უნდა მისცენ ყველა თანამდებობის პირი, რომელმაც დაარღვია ეს დადგენილებანი ან დააგვიანა მათი შესრულება; მუშათა და გლეხთა ინსპექციას პროკურატურის ორგანოებს წინადადება ეძლევა, თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და უზრუნველჰყონ სწრაფი განხილვა მთავრობის დადგენილებათა დარღვევის საქმეებისა პურის დამზადების დარგში" (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწერეთ ხელი სესხს!

საქართველოს ყველა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს და მათ სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის განვითარება ჩვენგან მოითხოვს დიდ ყურადღებას და ენერგიას. სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება და გამაგრება მთლიანად დამოკიდებულია მშრომელ მასების, მუშების და გლეხების აქტივობაზე. ჩვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ საბჭოთა მთავრობას ჩვენი მეურნეობის შემდგომ განვითარების საქმეში. ამჟამად ახალგაზრდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას თავის საკუთარ საშუალებებით არ ძალუძს შეასრულოს ყველა იმ ამოცანების გადაჭრა, რომელიც სდგას მის წინაშე ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეში. ამიტომ მთავრობამ ამჟამად გამოუშვა 500 მილიონის მეორე ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომლის განაღდების საქმეში ყველა მუშამ და გლეხმა, ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა და შეიძინოს ამ სესხის ობლიგაციები. ამ კამპანიის ჩატარებაში გლეხკომებმა უნდა ითამაშონ თვალსაჩინო როლი. მათი მოვალეობაა თავიანთი სახსრებით შეიძინონ ასეთები.

ამჟამად ყველა გლეხკომის ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს ამ კამპანიის ჩატარებისაკენ.

არც ერთი მშრომელი გლეხი, არც ერთი გლეხკომი არ უნდა დარჩეს უობლიგაციოთ. ყველამ უნდა შეიძინონ ასეთები.

სრ. საქ. ცენტრ. გლეხკომის თავმჯდომარე: ქ. ხომერიკი.

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია თბილისში

ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტი

თამბაქოს ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ სთქვეს:

— ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ საბჭოთა კავშირის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებს და მათთან ერთად ხელს შეუწყობთ პროლეტარულ სახელმწიფოს მშენებლობას, მის აღორძინებას.

კრებამ ერთხმად დაადგინა ხელი მოაწეროს მეორე ინდუსტრიალურ სესხს, ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ვანო.

ტელეფონის მუშაკთა შორის

11 სექტემბერს ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში შესდგა ტელეფონის და საქალაქთაშორისო კავშირის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის განაღდების შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა ერთი თვის ხელფასის ობლიგაციების შეძენა, რაც 14 ათას მანეთს (14.000 მ.) შეადგენს.

ლ.

საქონლის სადგურის მტვირთავები

თბილისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშებში—ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვალერიან ვაშაკიძემ. კრებამ ერთხმად დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გაღებულ იქნეს ერთი თვის ძირითადი ხელფასი.

წინასწარ გამოანგარიშებით კოლექტიური ხელისმოწერა 25,0000 მანეთს უდრის.

მტვ. მუშა.

აფთიაქების მუშაკთა შორის

აფთიაქების 105 თანამშრომელმა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად თითო თვის ხელფასი გაიღო. სულ მათ ხელი მოაწერეს 12,000 მანეთის ობლიგაციაზე.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში

ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ყოველმა მუშა-მოსამსახურემ შეიძინოს თითო თვის ხელფასის ღირებულების ობლიგაცია.

პოლიგრაფტრესტში

პოლიგრაფტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ მუშა-მოსამსახურეებმა ობლიგაციების შესაძენად გაიღონ თითო თვის ხელფასი.

ხელის მოწერა იქვე დაიწყო. გამოირკვა, რომ ამხანაგებმა არამც თუ ერთი თვის ხელფასზე, არამედ მეტზედაც მოაწერეს ხელი. მაგალითად ამხ. გალუსტაშვილმა და ს. კოვშოვმა სამას-სამას მანეთის გამოიწერეს, ხელფასი კი პირველს 60 მან. ეძლევა, მეორეს—75 მანეთი.

ახალი.

თბილისის სადგურის მუშა-მოსამსახურეებში

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. გ. რაზმაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამხ. რაზმაძეს მისცეს მრავალი შეკითხვა.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხ. ეპ. პაიჭაძე, გრ. დევდარიანი, ვლ. მაისურაძე, გ. იაკობიძე და სხ.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იწონებს საკ. ცაკის დადგენილებას ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვების შესახებ და ობლიგაციების შესაძენად სდებს ერთი თვის ხელფასს.

ტ—ნ.

ქუთაისში

მაუდის ფაბრიკა

მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. სანამ კამპანია დაიწყებოდა ქარხნის ინჟინერმა კურენკომ 1000 მანეთის ობლიგაციები შეიძინა. ბევრმა მუშამ შეიძინა აგრეთვე რვა-რვა ობლიგაცია. საერთო კრებაზე ხელის მოწერამ 5.500 მანეთს მიაღწია.

რგანელი.

რიონჰესი

რიონჰესის მე-2-ე უბნის მუშების საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ და მიიღო დადგენილება, რომ ყველა მუშა-მოსამსახურემ შეიძინოს სესხის ობლიგაციები.

იაშვილი.

სურამში

სურამის რაიონში მედსანშრომის კავშირის წევრთა საერთო კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ. კრებამ მიიღო დადგენილება, რომ კავშირის წევრებმა შეიძინონ სესხის ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ამის შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა. ჯერ-ჯერობით ას ოცმა კაცმა მოაწერა ხელი სესხს, ამათაგან თვე-ნახევრის ხელფასის და მეტის რაოდენობით მოაწერა ხელი 34 კაცმა. ხელის მოწერა გრძელდება.

საქ. სახკომსაბჭოში

სახ. დაზღვევის 1926—27 წ. შემოსავლის განაწილება

სახელმწიფო დაზღვევის 1926—27 წ. შემოსავალი—122.302 მან. 48 კაპ. სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს მიერ შემდეგნაირად იქნა განაწილებული: აფხაზეთს—11.250 მანეთი, აჭარისტანს—5.515 მანეთი, სამხრეთოსეთს—1.473 მან. 48 კაპეიკი, თბილისის მაზრას—13.645 მანეთი, ახალქალაქის მაზრას—2.953 მანეთი, ახალციხის მაზრას—2.454 მანეთი, ბორჩალოს მაზრას—4.495 მანეთი, გორის მაზრას—6.004 მანეთი, კახეთის მაზრას—9 817 მანეთი, ქუთაისის მაზრას—27.915 მანეთი, შორაპნის მაზრას—11.911 მანეთი, რაჭა-ლეჩხუმის მაზრას—6.358 მანეთი, ზუგდიდის მაზრას—7.019 მანეთი, სენაკის მაზრას—4.002 მანეთი, ოზურგეთის მაზრას—3.719 მანეთი, ზემო-სვანეთის მაზრას—3.262 მანეთი, 18 კაპეიკი, ქ. ფოთს—514 მან.

ღონისძიებათა ცენტრალიზაციის მიზნით ხსენებულ თანხიდან მიწსახკომს გადაეცა—44.901 მანეთი და 66 კ. აქედან საქონლის ჭირთან საბრძოლველად—24.606 მანეთი და 18 კაპ., სეტყვასთან საბრძოლველად—20.295 მანეთი და 48 კაპეიკი; შინსახკომს გადაეცა—76.403 მანეთი და 32 კაპ. ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გასატარებლად; მონადირეთა კავშირს გადაეცა—1.000 მან. მხეცებთან საბრძოლველად.

მიწის ზედმეტი ნორმის ჩამორთმევის შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომის დადგენილებით ყველა სამაზრო აღმასკომებს წინადადება ეძლევა მიიღონ ზომები საქართველოს მიწსახკომის კოლეგიის ამა წლ. 31 მაისის თარიღით გამოცემული ინსტრუქციის ცხოვრებაში გასატარებლად.

ხსენებული ინსტრუქცია შეეხება ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევის წესებს.

ღვინისა და სპირტების დამზადების გეგმა.

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ყურძნისა, ღვინისა და ღვინის სპირტის დამზადების გეგმა. გეგმით უნდა დამზადდეს—370 000 ფ. ყურძენი, 1,130.000 ვედრო ღვინო, 9.100,000 გრადუსი ღვინის სპირტი და 100.000 გრად. კონიაკის სპირტი; სულ—6,154.000 მან. რაოდენობით.

ღვინისა და ყურძნის დამზადებას აწარმოებს „საქართველოს ღვინო" და სახ. მამულების ტრესტი. ღვინის სპირტის დამზადებას აწარმოებს „სოფლის კავშირი" და სახ. მამულების ტრესტი. სხვა ორგანიზაციების ჩაბმა ადგილობრივ მნიშვნელობის დამზადებაში შესაძლებელია მხოლოდ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ნებართვით.

სახ. მამულების ტრესტის მმართველობის შესახებ

მიწსახკომს ნება მიეცა სახ. მამულების ტრესტის კოლეგიალური მმართველობის მაგიერ შემოიღოს ერთპიროვნული მმართველობა, რისთვისაც ტრესტის დებულებაში შეტანილი იქნება სათანადო ცვლილებები.

26 კომუნარის დახვრეტის 10 წლის თავი

ამ თვეში სრულდება 10 წელი ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტის დღიდან. თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეადგინა პროლეტარიატის მტკიცე მებრძოლთა ხსოვნის აღსანიშნავი კამპანიის ჩატარების გეგმა.

კამპანია დაიწყება 19 სექტემბრიდან. კამპანიის ძირითადი მიზანია განუმარტოს მშრომელთა ფართო მასებს ბაქოს რევოლიუციონური პროლეტარიატის მნიშვნელობა ამიერკავკ. ანტი საბჭოთა და ანტირევოლიუციონური პარტიების—მუსავატების, დაშნაკელების და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

19 სექტემბერს ყველა კლუბებში მოეწყობა მოხსენებები 26 კომუნარის ბრძოლისა და დაღუპვის შესახებ.

20 სექტემბერს სახ. ოპერის შენობაში შესდგება თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა, რომელზედაც ფაბ.-ქარხ. ადგილკომების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ვინაიდან ყოფ. ავლაბარ-ხარფუხის რაიონი ეხლა 26 კომუნარის სახელს ატარებს, კამპანიას ამ რაიონში განსაკუთრებული ზეიმის ხასიათი მიეცემა; ჩატარდება მოხსენებები წარმოებებში, მოეწყობა მიტინგები და სხვ.

განსაკუთრებული ხასიათს კიდევ იღებს კამპანია 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში და ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში, რომლებსაც აგრეთვე 26 კომუნარის სახელი ეწოდება.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება და თბილისის პოლიტგანი კამპანიის დროს იძენენ შესაფერ ლიტერატურას თავისი ბიბლიოთეკებისათვის.

აგიტპროპმუშაკის ცენტრალური კომიტეტი აწყობს ლიტერატურის გამოფენას 1918 წლის რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ჩამოსვლა

12 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერულ მუშაკთა ჯგუფი: ლიტერატურისა და ენათმეტყველების პროფესორი **კლარკი** (კანადა), ერთ-ერთ უდიდეს დამზღვევ საზოგადოების „ამერიკის დამზღვევი საზოგადოების" თავმჯდომარე **ლენტი**, სამშენებლო ფირმის პატრონი **რაით** და ამერიკის ებრაელთა საზოგადოებრივი მოღვაწე **ჩიპკინი**.

ამერიკელებს თან ახლავს უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების წარმომადგენელი ამხ. **ლეშჩი**.

საბჭოთა კავშირში ამერიკელთა ჯგუფი ჩამოვიდა აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ამერიკელებმა გამოიარეს ლენინგრადში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სტალინგრადში, კისლოვოდსკში და კავკავში. თბილისიდან ამერიკელები გაემგზავრებიან ბათომში, იალტაში, სევასტოპოლში, კიევში და შემდეგ დაბრუნდებიან მოსკოვში.

მოქ. ჩიპკინი დარჩება ყირიმში ერთი ან ორი თვით ებრაელთა კოლონიების გაცნობის მიზნით. ჩამოსულები მეტად მეგობრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირისადმი. ლენტმა შემდეგი განაცხადა საუბრის დროს:

„ჩემის აზრით, საჭიროა რაც შეიძლება მალე დამყარდეს ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის. ჩვენ უფრო გვჭირდება საბჭოთა კავშირი, ვიდრე შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს".

თბილისიდან ამერიკელები გაემგზავრებიან 14 სექტემბერს.

გერმანელი მეცნიერები მოემგზავრებიან საქართველოში

ამჟამად მოსკოვში მყოფი პრუსიის სახალხო განათლების ყოფილი მინისტრი გერმანელ მეცნიერების ხელისშემწყობ საზოგადოებისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოების თავმჯდომარე პროფ. ოტტო შმიდტი და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოების გენერალური მდივანი დოქტორი იონას 12 სექტემბერს მიემგზავრებიან ხარკოვში, სადაც დაყოფენ სამ დღეს. შემდეგ გამოემგზავრებიან საქართველოში. თბილისიდან ისინი გაემგზავრებიან სტამბოლში.

პროფ. შმიდტის და დოქტორ იონასის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის მიზანია ხელის შეწყობა კულტურულ კავშირის განმტკიცებისათვის ორივე ქვეყნებს შორის.

რკ.-გზის სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

ა.-წ. 10 სექტემბერს თბილისში გაიხსნა რკინის გზის 7 წლედების მასწავლებელთა კონფერენცია. კონფერენციას თითო სასწავლებლიდან ესწრება სამი დელეგატი, სულ კონფერენციას ესწრება 42 დელეგატი, ამათში—27 მასწავლებელი ხაზიდან, დანარჩენები—თბილისიდან.

კონფერენცია გაიხსნა ამხ. მელიქიძის და ნუცუბიძის შესავალ სიტყვებით, რის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. გოგუაძის მოხსენება თემაზე „კულტურული რევოლიუცია და სკოლა". კონფერენცია დაიყო სექციებათ: სამათემატიკო, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებათა მეცნიერების. სექციების მუშაობის გარდა, საღამოობით 5 საათიდან 9 საათამდე ხდება კონფერენციის პლენარული სხდომები. კონფერენციის მუშაობა დამთავრდება ა.-წ. 15 სექტემბერს.

აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგური

როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის მთავარ ინჟინერ **მაშკევსკისაგან** მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად საკავშირო თანხებიდან გადადებულია 3.860.000 მანეთი.

ახალი პროექტით პირველ ხანებში იმუშავებს ორი ტურბინა და სადგური იქნება 6.700 ცხენის ძალიანი. შემდეგ სადგურის ძალოვნება გადიდებული იქნება 7.500 ცხენის ძალამდე.

ტურბინების და გენერატორების დამზადება შეკვეთილი აქვს ლენინგრადის მანქანების საამშენებლო ქარხანას. მიღებული ცნობებით შეკვეთები უკვე შესრულებულია 60 პროცენტით. სადგური ამუშავებული იქნება 1930 წელს.

საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა

გუშინ ჯანსახკომში შესდგა საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობის საორგანიზაციო თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა ყრილობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებები და მისი ორგანიზაციულად ჩატარების გეგმა.

თათბირის დადგენილებით დღეს, დილის 12 ს. თბილისის ტუბერკულიოზის ინსტიტუტში გაიხსნება საქართველოს სატუბერკულიოზო კონფერენცია, რომელზედაც წინასწარ განხილული იქნება საკავშირო ყრილობაზე წარსადგენი მოხსენებები და საკითხები.

15 სექტემბერს საღამოს 7 საათზე თეატრში გაიხსნება საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობა. ყრილობის წინ ოპერის თეატრში გაიხსნება სატუბერკულიოზო გამოფენა, რომლისთვისაც საჭირო ექსპონატები უკვე მიღებულია საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან.

ყრილობაზე დასასწრებლად ზოგიერთი დელეგატები უკვე ჩამოვიდნენ თბილისში, მათ შორის პროფ. **ვაინი**, პროფ. **შმიდტი**, პროფ. **ვეირსონი**, და პროფ. **როსელი**, ექიმ-სპეციალისტები—**ნოსმანი**, **მენგლიტი**, **შვეიცერი** და სხვ.

დღეს თბილისში ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვა უკრაინის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. **ეფიმოვი**.

საშემოდგომო თესვა

ტრაქტორების მიღება

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიაში მიღებული ცნობით ფოთში მიღებულია ტრაქტორების ახალი პარტია. ტრაქტორები თბილისის საცდელ სადგურში გამოცდის შემდეგ განაწილებული იქნება კოლექტიურ მეურნეობებს შორის.

საბჭოთა მეურნეობა

ახალქალაქში განზრახულია მოეწყოს სათესლე მასალის დამამზადებელი საბჭოთა მეურნეობა.

თათბირი

სუბტროპიკულ კულტურების მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად 1 ნოემბერს შესდგება სპეციალური თათბირი.

ტრაქტორების მდგომარეობის გამოკვლევა

ტრაქტორების მდგომარეობის გამოსარკვევად და ტრაქტორების წესრიგში მოსაყვანათ მიწსახკომმა მაზრებში დაგზავნა ინსტრუქტორები.

თესვის კამპანია აჭარისტანში

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიას აჭარისტანიდან ატყობინებენ, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები მთელს აჭარისტანში თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

4 ვაგონი ჭვავი

რესპუბლიკანურმა კომისიამ მიიღო 4 ვაგონი სათესლე ჭვავი, რომელიც განაწილებულ იქნება სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს შორის.

სათესლე ხორბალი

ამჟამად რესპუბლიკანურ კომისიის განკარგულებაშია 81.750 ფუთი სათესლი ხორბალი. ამ დღეებში კომისია შეუდგება მის განაწილებას მაზრებს შორის.

აფხაზეთში

აფხაზეთში შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად დაარსებულია ცენტრალური კომისია; კამპანიის ჩასატარებლად მთელი აფხაზეთისათვის საჭიროა 195 ტონა ჭვავი, 50 ტ. ხორბალი, 88 ტონა საკვები ბალახის თესლი

მუშა-საქონლის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად გადადებულია 42.000 მანეთი.

მაზრაში გაცხოველებით სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების აღრიცხვა და შეკეთება. თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მაზრაში არსებულ აგრონომიულ ორგანიზაციებს დაევალა გლეხებს შორის მოაწყონ პოპულიარული საუბრები და მოხსენებები.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

ნედლეულის დამზადება

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, ზაკგოსტორგს გაუხსნა გრძელვადიანი კრედიტი, 64.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდება ნედლეულის დამზადების საქმეს ამიერ-კავკასიაში.

ინსპექტორებისა და ბუღალტერების თათბირი

ამ დღეებში შესდგა ა.-კ. რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკების ბუხჰალტერებისა და ინსპექტორების გაერთიანებული თათბირი, რომელმაც დაამუშავა მასალები სას.-სამ. ბანკების ბუხჰალტერების საკავშირო ყრილობისათვის.

საექიმო დახმარების საქმე ყოფილ დუშეთის მაზრაში

ამ დღეებში ყოფილ დუშეთის მაზრიდან დაბრუნდა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. ფანცხავა, რომელმაც აღნიშნულ რაიონში საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

ყოფ. დუშეთის მაზრაში ჩემი წასვლის მიზანი იყო საექიმო დაწესებულებების მუშაობის ადგილობრივ გაცნობა და აგრეთვე იმის გამორკვევა, თუ რა არის საჭირო საექიმო დახმარების საქმის გასაძლიერებლად.

დუშეთში ამჟამად არსებობს ერთი საავადმყოფო, ამბულატორია დაზღვეულთათვის და იზოლიატორი. აღსანიშნავია, რომ ამბულატორიას ჰყავს მხოლოდ ერთი ექიმი, რის გამო დაზღვეულებს არ შეეძლოთ თავის დროზე მიეღოთ შესაფერი საექიმო დახმარება. ამ არანორმალურ მდგომარეობის მოსპობის მიზნით ჯანმრთელობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს აღნიშნული ამბულატორია შეუერთოს ადგილობრივ საავადმყოფოს.

ამასთან ერთად საავადმყოფო მომარაგებული იქნება რენტგენის კაბინეტით, კბილის საექიმო კაბინეტით და მოეწყობა ლაბორატორია. საავადმყოფო უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიკაციურ ექიმებით. გადაწყვეტილია საავადმყოფო იმგვარად იქნეს მოწყობილი ყოველმხრივ, რომ მან შესაფერი დახმარება გაუწიოს ყოფილ დუშეთის მაზრის ყველა რაიონებს:

განსაკუთრებით ცუდი აღმოჩნდა სოფლად საექიმო დაწესებულებების მდგომარეობა. მაგალითად კობის საფერშლო პუნქტი და ყაზბეგის საექიმო პუნქტი პირდაპირ ცის ქვეშ მუშაობენ. მათ აქვთ მხოლოდ თითო ოთახი და ისიც უვარგისები. ამიტომ ამ პუნქტებში ყოვლად დაუშვებელ ანტისანიტარულ პირობებს აქვს ადგილი.

თვით საექიმო პერსონალის მდგომარეობაც მოუწესრიგებელია; ფერშლებს ეძლევათ 31 მანეთი, სანიტარებს 12 მ.

დუშეთის მაზრის თბილისის მაზრასთან შემოერთების გამო, ამიერიდან ყოფილ დუშეთის მაზრის სოფლებში მომუშავე ფერშლებს მიეცემათ თვეში 60—65 მანეთი, ხოლო სანიტარებს—22 მანეთი. თვით საავადმყოფოში მომუშავე სანიტარებს კი 33 მანეთი.

დღემდე დუშეთის საავადმყოფოს ხარჯთ-აღრიცხვა არ აღემატება 17.000 მანეთს. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვით კი 1928—29 წელში აღნიშნულ საავადმყოფოზე დაიხარჯება 39.000 მ.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას საავადმყოფოს გაფართოებასთან ერთად განზრახვა აქვს გააფართოოს საექიმო პუნქტების ქსელი და ამასთან ერთად არსებული საექიმო პუნქტები მოათავსოს შესაფერ ბინებში. მომავალ წელში ჟინვალის და სხვა თემებში გაიხსნება ახალი საექიმო პუნქტები; ამავე დროს განზრახულია მუხრანში კბილის საექიმო კაბინეტის მოწყობა.

საჭიროა კიდევ აღვნიშნოთ დაზღვეულ მუშების მდგომარეობა. ამჟამად ჟინვალსა და ბოდორნას შორის სწარმოებს გზის გაყვანა, რომელზედაც მუშაობს 300 კაცი. მათ საექიმო დახმარებისათვის სიარული უხდებათ ანანურის საექიმო პუნქტში, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად უკვე მიღებულია შესაფერი ზომები.

ქრონიკა

საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები

თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები კობის, ყაზბეგის და ხევსურეთში დაიწყება 15 სექტემბრიდან და დამთავრდება 15 ოქტომბერს.

ნაწილობრივ არჩევნებისათვის საჭირო მასალები ამ დღეებში დაეგზავნება ადგილებს. საარჩევნო კამპანიის გეგმის მიხედვით სასოფლო და სათემო საბჭოების საანგარიშო მოხსენების გარდა, საარჩევნო ყრილობებზე გაკეთებული იქნება თბილისის აღმასკომის საანგარიშო მოხსენებებიც, რისთვისაც ადგილებზე გაიგზავნებიან თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის წევრები.

პენსიების დანიშვნის ახალი წესი

დღემდე პენსიაზე გადარიცხვისათვის საჭირო იყო 8 წლის დაქირავებული შრომის სტაჟი. ამიერიდან კი ახალი წესის მიხედვით პენსია დაენიშნება ყველა იმათ, რომელთა ინვალიდობა გამოწვეულია სამუშაოზე დამახინჯებით და პროფსნეულებით, მიუხედავათ დაქირავებითი შრომის სტაჟისა.

რაც შეეხება დანარჩენ კატეგორიის ინვალიდებს, მათთვის სავალდებულოა დაქირავებითი შრომის სტაჟი ქვევით მოყვანილ ცხრილის მიხედვით: 20 წლის ჰასაკამდე 1 წლის სტაჟი, 25 წლამდე—2 წლის, 30 წლამდე—3 წლის, 35 წლამდე—4 წლის, 40 წლამდე—5 წლის, 45 წლამდე 6 წლის, 50 წლამდე—7 წლის და 50 წლის ზევით 8 წლის.

ამავე წლის მიხედვით ქვრივ-ობლებმა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა ნათესავებმა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ პენსია, სათანადო ორგანოებში უნდა წარადგინონ იმ გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შრომის სტაჟი, რომელთა კმაყოფაზედაც ისინი იმყოფებიან.

ქალაქების ელექტრო-სადგურების წარმომადგენელთა ყრილობა

კომუნალურ მეურნეობის მთავარ მმართველობის თაოსნობით 10 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნება ქალაქ. ელექტრო-სადგურების წარმომადგენელთა მე-2 საკავშირო ყრილობა.

ყრილობა, სხვა საკითხების გარდა, განიხილავს კომუნალურ ელექტრო-სადგურების მუშაობას და კომუნალურ ელექტრო-სადგურების განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმის საფუძვლებს:

სადეპუტატო მაგიდების გამოკვლევა

თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება შეუდგა სადეპუტატო მაგიდების მუშაობის გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია ნაკლულოვანებათა გამორკვევა მაგიდების მუშაობაში და პრაქტიკული ღონისძიებების გამომუშავება შემდეგში სადეპუტატო მაგიდების მოღვაწეობის გასაცხოველებლად.

თბილისის სადეპუტატო მაგიდების მუშაობის გასაძლიერებლად პრაქტიკულ ღონისძიებების გამომუშავების დროს მხედველობაში იქნება მიღებული საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში არსებულ სადეპუტატო მაგიდების გამოცდილება და მიღწევები.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

გზათა სახალხო კომისარიატმა მოსკოვს, ლენინგრადსა და ხარკოვში გახსნა სპეციალური კურსები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმ მუშა-რკინის გზელებისათვის, რომელნიც აღდგენის პერიოდის მუშაობაში იღებენ მონაწილეობას და რომელთაც ამჟამად გზებზე საშუალო ადმინისტრატიულ-ტეხნიკური თანამდებობა უჭირავთ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებმა ამ კურსებზე 13 კაცი გაგზავნა.

თბილისის აღმასკომში

◆ **თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.** თემებში მასიური მუშაობის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად თბ. აღმასკომი იწვევს თემაღმასკომების თათბირს.

◆ **კანალიზაცია.** აღმასკომი შეუდგა კანალიზაციის გაყვანას დიდუბეში.

სხვადასხვა

◆ **უმუშევართა აღრიცხვა.** 29 სექტემბრამდე შრომის ბირჟაში იწარმოებს ყველა კატეგორიების უმუშევართა აღრიცხვა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** სტალინგრადიდან—ნორხს, ბაქოდან—მამედოვს, აბასთუმანიდან—ანდრომახს, იქიდანვე—მამედიას, ტუაპსედან—კირაკოზოვს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 2 სექტემბრის ნომერში (№ 204) ფოროდინის დამუშავების შესახებ მოთავსებულ ცნობაში შემდეგი შეცდომა გაიპარა: სწერია—„ამერიკიდან შემოზიდული ფოროდინი პროფ. თვალჭრელიძის დასკვნით ჯდება ფუთი 122 მანეთი (ბათომში ფრახტით მოტანილი), უნდა იყოს ტონა ჯდება 122 მ.".

ხელოვნების ქრონიკა

ცვლილება სამხატვრო აკადემიაში

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით საქართველოს სამხატვრო აკადემიის რექტორათ დამტკიცებულ იქნა ამხ. ა. ი. დუდუჩავა; პრორექტორათ—ხუროთმოძღვრების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გ. დ. გრინევსკი, ხუროთმოძღვრების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის ასრულება დროებით დავალებული აქვს ინჟენერ პროფ. მ. ხ. მაჭავარიანს, ქანდაკების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დამტკიცებულია სახალხო მოქანდაკე პროფ. ი. ი. ნიკოლაძე, ფერებით წერის ფაკულტეტის დეკანათ, პროფ. ე. ე. ლანსერე, გრაფიკის—პროფესორი ი. ა. შარლემანი, კერამიკული განყოფილების გამგეთ დამტკიცებულია კერამიკის ინჟენერი ა. ი. ფიცხელაური.

— **სცენარის წაკითხვა.** დღეს, საღამოს 7 საათზე სახკინმრეწვის შენობაში წაკითხული იქნება სცენარი: „კონსულტანტი ლონდონიდან", სცენარის წაკითხვაზე მოწვეულნი არიან მუშკორები.

— მედსანშრომის კლუბში დღეს გაიმართება ეიხარევას და დანელიანის საღამო.

შემთხვევები

ქურდი ძმა

11 სექტემბერს სტეფანე სარიანცის ბინა გაქურდა მისმა ძმამ გიორგი სარიანცმა და მიიმალა. წაღებულია 700 მ. ნივთები.

ჯიბგირობა

11 სექტემბერს ალექსანდრა არომიძეს ჯიბიდან ამოართვეს სხვადასხვა საბუთები და ფული.

ქურდობა

11 სექტემბერს კომუნალური ქ. № 41 გაქურდეს ანეტა ქართველის ბინა;—ამავე დღეს (სალიანის ქ. 12) გაქურდეს ნინო ფეტიაშვილის ბინა;—ამავე დღეს მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მაქსიმე კორიას ბინა.

შეპყრობა

11 სექტემბერს ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი მიშა ოგანეზისძე ძალაინიძე და ბირკა მოსესძე კრაევი. ამავე დღეს შეიპყრეს ქურდი სედრაკ აკოფოვი (უბინაო).

სასამართლო

ყოფ. თავადები საკრედიტო ამხანაგობის სათავეში

ახალგორის თემის (სამხრეთ-ოსეთშია) ღარიბი გლეხობა დიდი აღტაცებით შეხვდა საკრედიტო ამხანაგობის გახსნას მათ თემში.

დაიწყო მუშაობა საკრედიტო ამხანაგობამ. გამგეობას იმთავითვე „ჩინებული" ხალხი ჩაუდგა სათავეში თავმჯდომარე გახლდათ ყოფილი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავი, გამგეობის წევრი და მოლარე—ყოფილი თავადი მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანსკი, მეფის დროს გუსარების პოლკის ესკადრონის ყოფ. უფროსი.

დანარჩენებს აღარ ვასახელებთ. ვფიქრობთ, რომ მკითხველი აქედანვე მიხვდება, რა რიგ გულმოდგინედ იმუშავებდა ასეთი საკრედიტო ამხანაგობა ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ახალგორის საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის შეფასება ერთი წლის შემდეგ წილად ხვდათ საგამომძიებლო ორგანოებს და ორივე თავადი საბრალმდებლო სკამზე წამოსკუპდა.

როგორც მოსალოდნელი იყო ხელისუფლების მიერ ღარიბი გლეხობისათვის გადადებული თანხები ბაგრატიონ-მუხრანსკის სალაროდან მიდიოდა რესტორანებში. მუხრანსკი არ ივიწყებდა ძველებურ ხელგაშლილობას გლეხობის ხარჯზე და თავის პირად კეთილდღეობისათვის აცალიერებდა სალაროს. სულ თავისი „მოღვაწეობა" ბაგრატიონ-მუხრანსკიმ დააგვირგვინა 4.800 მანეთის გაფლანგვით.

რას შვებოდა გამგეობის თავმჯდომარე ყოფ. თავადი ერისთავი? მას მართალია, ფული არ შეუჭამია, ამდენი პატიოსნობა გამოიჩინა, მაგრამ „სისხლით მონათესავე" ნათავადარ მოლარეს უყურებდა ჭამაზე და კრინტს არ სძრავდა.

როცა საკრედიტო ამხანაგობის ამბავი გაიგო ადგილობრივმა გლეხობამ, აღშფოთებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. შეიკრიბენ გლეხები და დაადგინეს, მოსთხოვონ ადგილობრივ ხელისუფლებას დამნაშავეების სასტიკად დასჯა.

ბაგრატიონ-მუხრანსკი უკვე ციხეში ზის, მაგრამ მაინც აწყობს გარეთ თავის საქმეს, აბრიყვებს რამდენიმე გლეხს და გამოატანიებს ასეთ დადგენილებას:

„ჩვენ ქვემოთ ამაზე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ მუხრანსკი ძალიან პატიოსანი კაცია. ძველადაც გაირჩეოდა სხვა თავადებიდან. თუ სხვა სამ აბაზს გვაძლევდა დღიურ ხელფასს, მუხრანსკის მანეთზე ნაკლები არასოდეს არ მოუცია. ის არ მოეკიდებოდა ავაზაკურად [illegible] გადადებულ ფულს და თუ რამე შეცდომა (!) მოუვიდა უნდა მივაწეროთ მის გულუბრყვილობას (!) და ბავშურ (!) ხასიათს".

ეს მოწმობს იმას, რომ გაიძვერა ნათავადარს კიდევ თავის გავლენის ქვეშ ჰყოლია გლეხობის შეუგნებელი ნაწილი.

არ გაუვიდა ასეთი ხრიკი მუხრანსკის. სამხრეთ-ოსეთის მთავარმა სასამართლომ ღირსეულად შეაფასა მისი ნამოქმედარი.

მუხრანსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით და უფლებების აყრა 5 წლის ვადით.

ნიკოლოზ ერისთავს ასეთი უყურადღებობის და სისუსტის გამოჩენისათვის მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა 3 წელი. გარდა ამისა ეკრძალება [illegible] თანამდებობის დაკავება 2 წლის განმავლობაში.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული აგრეთვე ახალგორის საკრედიტო ამხანაგობის ყოფილი მოანგარიშე შალვა გეწაძე, რომელიც უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და განთავისუფლდა.

გერ.

ქუთაისი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

წყალდიდობა

9 სექტემბერს საღამოს 5 საათიდან დაიწყო კოკისპირული წვიმა, რომელმაც გასტანა ღამის ათ საათამდე. არაჩვეულებრივად ადიდდა პატარა მდინარეები: გუბის წყალი, წყალტუბო და წყალწითელა.

ნაპირებიდან გადმოსულმა წყალმა მთლად ერთიანად წალეკა ნათესები რამდენიმე ასეული ქცევის სივრცეზე; გუბის-წყალმა დიდი ზარალი მიაყენა ახლად დაწყებულ და ჯერ დაუმთავრებელ ხიდს' წყალმა წაიღო 350 კასრი ცემენტი. ხიდისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა, დანგრეულია და ჩაზნექილი მდინარემდე ბეტონის ჩასასხმელი ფერმები თავის რკინის არმატურით. მარტო ხიდის დაზიანებით გამოწვეული ზარალი 20.000 მანეთს აღემატება.

ხონში არხებიდან გადმოსულმა წყალმა მთლად დაფარა გზები მიმავალი ქუთაისისა და სამტრედიისაკენ. წყალტუბოს აგარაკზე ნაპირიდან გადმოსულმა მდინარემ შექმნა ტბა სიგრძით ერთი კილომეტრი, სიგანით100 მეტრი და სიღრმით 4 მეტრი, რომელმაც დაფარა ორი აბანო და ერთი წისქვილი.

სამი დღეა, რაც ბაღდათთან, ხონთან და წყალტუბოსთან შეწყვეტილია მიმოსვლა. პირველი ავტომობილი ხვალ დილით გავა ხონისაკენ. თემების უმეტეს ნაწილში შეწყვეტილი არის სატელეფონო კავშირი. უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად წყალწითელამ ერთიანად გაახრა 40 ქცევა ყანა და რამდენიმე ქცევა ვენახი. წყალ-ტუბოსა და გუბისწყლის განაპირას განადგურებულია 215 ქცევა ყანა და რამდენიმე ქცევა ვენახი. ხონის რაიონში გაოხრებულია ას ქცევამდე ყანა.

ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ

დღეს თქვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ნოე კაკაბაძესთან**, რომელმაც წყალდიდობის წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— სასწრაფოდ იქნა აღდგენილი ამას წინად გაუქმებული წყალდიდობასთან მებრძოლი სამაზრო სამეული, რომელიც უკვე 12 სექტემბერს დილიდანვე შეუდგა მუშაობას. სამეულმა უკვე მიმართა სათანადო ორგანოებს: წყალთა სამმართველოს, ადმინგანის უფროსს და საამშენებლო საგზაო განყოფილებას. მათ დაევალა ზარალის სისწორით გამორკვევა და ზომების მიღება მომავალში წყალდიდობის საშიშროების ასაცილებლად. წინადადება მიეცა 9 თემს საშიში ადგილები საჩქაროდ იქნენ გამაგრებულნი. 13 სექტემბრისათვის მოწვეულია სამაზრო თათბირი წყალდიდობასთან დაკავშირებით.

სამაზრო აღმასკომის მიერ აღძრულია შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე ათი ვაგონი ხორბლის გამოგზავნის შესახებ ნორმის ზევით, რომ დაკმაყოფილებულ იქნენ წყალდიდობით დაზარალებული რაიონები.

დაუსრულებელი წვიმები საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წყალდიდობა კვლავ მოსალოდნელია და ამიტომ სამეულს დიდი ენერგია მართებს კვლავ მოსალოდნელ წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად.

წერილი რედაქციის მიმართ

ვამთავრებ რა ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიას, მივმართავ ყველას, ვისაც მოეპოვება მოგონებანი და ცნობები მისი ცხოვრებისა და სიკვდილის შესახებ, დამეხმაროს და მომაწოდოს ასეთები შემდეგი მისამართით: თბილისი. ხელოვნების სასახლე, გიორგი ლეონიძეს.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, ეს მიმართვა დამიბეჭდონ.

გიორგი ლეონიძე.

მუშათა ცხოვრება

მზადება მუშგლეხკორთა მე-4-ე საკავშირო თათბირისათვის

გუშინ ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგა სრულიად საკავშირო მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა მე 4 თათბირისათვის მოსამზადებელ მუშაობას ჩამტარებელ კომისიის სხდომა. სხდომამ მოისმინა ამხ. სოსიანის მოხსენება მუშგლეხკორთა მე-4 თათბირისათვის წინასწარი მზადების შესახებ. მომხსენებელმა გაშუქა წინასწარ მზადების ორგანიზაციული მხარეები და აღნიშნა, თუ რა პრაქტიკული მუშაობა უნდა სწარმოებდეს თათბირისათვის მზადების დროს. მომხსენებლის სიტყვით, ს. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებობს ცენტრალური კომისია. თბილისის ორგანიზაციის რაიკომებში დაარსდება რაიონული სამეულები, რომელშიაც შევლენ საგ.-საპროპ. განყ. გამგე, პრესის წარმომადგენელი და ერთი აქტიური მუშკორი. გარდა ამისა,—ამბობს ამხ. სოსიანი,—წარმოება-დაწესებულებებში სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივი კომისიები—აგიტპროპორგანიზატორის, აგიტკომისიის წევრის, მუშ-გლეხკორთა წრის წარმომადგენლის, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენლის, საწარმოო თათბირის, ან ეკონომკომისიის წარმომადგენლის და, ერთი, ან ორი მუშის შემადგენლობით. ადგილობრივი, კომისიები უნდა არჩეულ იქნენ მუშკორთა წრის, ან მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. ადგილობრივ კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევენ რაიონული კომისიები.

ადგილობრივ კომისიებმა უნდა მოახდინონ კედლის გაზეთის მუშაობის გამორკვევა, ჯამი გაუკეთონ კედლის გაზეთების მიღწევას—ბოროტმოქმედების, უყაირათობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. აგრეთვე კომისიებმა უნდა შეამოწმონ, როგორ უწყობს ხელს კედლის გაზეთი წარმოების რაციონალიზაციის გატარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და სხ. ამასთანავე მათ უნდა გამოამჟღავნონ კედ. გაზ. მუშაობაში არსებული დეფექტებიც.

მთელი ეს მუშაობა უნდა დასრულდეს ა. წ. 1 ოქტომბრისათვის.

რაც, შეეხება თბილისის მაზრას, მომხსენებლის სიტყვით, 16 თემში მოეწყობა სათემო კომისიები, რომელნიც შეამოწმებენ სოფლის კედლის გაზეთების და გლეხკორთა წრეების მუშაობას.

ჯავი.

დაიცავით მშრომელთა ჯანმრთელობა

(წერილი სამტრედიიდან)

1-ლ ივლისიდან სამტრედიის აღმასკომმა საავადმყოფოს შენობის შეკეთების გამო სრულიად შესწყვიტა ავადმყოფების მიღება. ამ ორი თვე გადის რაც საავადმყოფოს შეკეთება მიმდინარეობს და როგორც სჩანს ამ წელს არც ფიქრობენ მის დამთავრებას. შესაძლებელია აღმასკომისათვის საჭირო არ იყოს საავადმყოფო, მაგრამ მოსახლეობისათვის დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის ის საჭირო და აუცილებელია.

ყველას მოეხსენება და უთუოდ სამტრედიის აღმასკომსაც, რომ ქალ. სამტრედია და მისი რაიონი ძალზე ჭაობიანი ადგილებია, სადაც საკმაოდ გავრცელებულია მალარია. ამასთანავე სამტრედიის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს აღმშენებლობანი: საჯევახოს, გუბის და ცხენის-წყლის ხიდების აგება. საყრდულეს და საბინაო მშენებლობა, რაიც საკმაოდ ზრდის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვს და აგრეთვე ახშირებს სამსახურთან დაკავშირებით უბედურ შემთხვევათა მოვლენებს, ასეთ დროს კი სამტრედიის აღმასკომმა რატომღაც ზედმეტათ მიიჩნია საავადმყოფო და დაუსრულებელი შეკეთებით სრულიად მიაკეტა ის

საავადმყოფოს უქონლობა აუტანელ მდგომარეობაში აყენებს როგორც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს, აგრეთვე ღარიბ მოსახლეობას.

ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ამ მოვლენას დაუყოვნებლივ მიაქციოს ყურადღება არა მარტო სამტრედიის აღმასკომმა, არამედ ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ და დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილებამაც.

საჭიროა სამტრედიის საავადმყოფოს შეკეთებას დასასრული მიეცეს თუ მთლად არა, შენობის ნახევარ ნაწილს მაინც, რომ ცოტათი უზრუნველვყოთ მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობა.

ს. თ.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(სადურგლო ცეხი)

მთ. სახელოსნოს სადურგლო ცეხში შრომის ხელფასის ახალი რეფორმის გატარების შემდეგ მდგომარეობა ერთობ გაუმჯობესდა. ერთის მხრივ ბევრ ჩამორჩენილ მუშა-ხელოსნებს შეენახათ რეალური შრომის ხელფასი, ხოლო ზოგიერთების კიდეც გადიდდა. საერთოთ ჩამორჩენილი ჯგუფების პირობები გაუმჯობესდა.

ახალი რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ამ მხრივ დიდი ენერგია გამოიჩინა სადურგლო ცეხის გამგემ ამხ. შენგელიამ. მისი ინიციატივით მოხდა რეფორმის შემუშავება, ხოლო სადურგლო ცეხის მუშაობა გამოცოცხლდა. ცეხის გამგემ იმდენი შეკვეთები შეაგროვა, რომ თუ წინად ცეხის ყოფილი გამგეები მუშების რიცხვს ამცირებდნენ და სხვაგან გადაყავდათ, დღეს ისინი თითქმის უმრავლესობა უკანვე იქნა დაბრუნებული. განსაკუთრებით კი ყველა დურგლები დაბრუნდნენ ცეხში სამუშაოდ. შეუდგენ აგრეთვე ხე-ტყის საშრობი შენობის შეკეთებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობის აგებაზე კარგა მოზრდილი თანხა დაიხარჯა, დღემდის ის უბრალო თავლას წარმოადგენს. სადურგლო ცეხს ამ შენობის შეკეთების შემდეგ ექნება მშრალი ხე-ტყის მარაგი, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ეხლა ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ სადურგლო ცეხის ნაკლსაც. მთელი ერთი წლის განმავლობაში ცეხი ღებულობს დამპალი ხის მორებს, განსაკუთრებით ფიჭვისა და ნაძვის. ამ მორებიდან მიღებული მასალის ნახევარი მაინც უვარგისი გამოდის, რაც პროდუქციას აძვირებს. საინტერესოა იმის გამორკვევა, ეს დამპალი მორები სალის ფასად ჯდება თუ არა.

მეორე ნაკლი არის აპარატის უვარგისობა, რომელიც ყველა მექანიკურ დაზგებიდან ნახერხ ბურბუშელას ამოიტანდა და მილში ჰაერის შესრუტვით მიაწოდებდა ორთქლის ქვაბს. ეს მოგვცემდა როგორც მუშა-ხელის ეკონომიას, ისე საწვავი მასალის დაზოგვასაც, მაგრამ ცდა ამ მიმართულებით უნაყოფოთ ჩატარდა. საჭიროა ამ აპარატის გაუმჯობესება.

მუშკორი კორიანტელი.

უღირსი თანამშრომელი მუშკოოპში

ქალაქის 1-ლ საავათმყოფოსთან არსებულ მუშათა კოოპერატივში მსახურობს ვინმე ვ. ციმა, რომელიც ზედმიწევნით ცუდათ ეპყრობა მომხმარებლებს. არა ერთი და ორი განცხადება მიუციათ საავათმყოფოს თანამშრომლებს მუშკოოპის გამგეობისათვის ამის შესახებ. გასულ წელს გაზეთ „კომუნისტშიაც" იყო მოთავსებული წერილი ამ ვაჟბატონის წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ-ჯერობით გამგეობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

5 სექტემბერს მოქ. ციმამ სრულიად უმიზეზოდ გალანძღა და გარედ გამოაგდო საავათმყოფოს თანამშრომელი ქალი მ. არ—ძე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მან ნაყიდ საქონელზე მოითხოვა პრემიალური „მარკები".

მისი ასეთი საქციელით აღშფოთებული თანამშრომლები მოითხოვენ მოქ. ციმას პასუხისგებაში მიცემას, რომელიც სახელს უტეხს კოოპერაციის მომხმარებლებს თვალში.

სადუქნო კომისიის წევრი.

მუშკორთა წერილებიდან

ყურადღებას არ აქცევს. სადგურის ქუჩაზე, სახლი № 31, კომენდანტათ არის ვინმე ზიმინი. ხსენებული სახლი ნაწილობრივ ეკუთვნის სამხედრო უწყებას, სადაც სცხოვრობენ კერძო მდგმურებიც, სახლის ეზოში უსუფთაობაა. არც კომენდანტი ზიმინი და არც მეეზოვე ამას ყურადღებას არ აქცევენ. მათ უნდა შეიგნონ, რომ სახლს სისუფთავე ესაჭიროება.

გრ. არუელი.

მოსვენებას არ გვაძლევს. გორის ქუჩაზე, № 23 სახლში, სცხოვრობს ბიქტორ შენგელია, რომელიც მუდამ ეჩხუბება ამავე სახლში მცხოვრებ შენგელიას ქალს. ერთხელ ეს ჩხუბის გამო გამასწორებელ სახლშიაც მჯდარა, მაგრამ თავისას არ იშლის. მდგმურები შევიწროვებულია შენგელიას საქციელით. მე-12 უბნის მილიციავ, მოგვაშორე ეს მოჩხუბარი.

დიდვაკელი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაც.-საპროპაგანდო განყოფილება

დღეს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე
საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში იწვევს
ყველა ბეჭდვითი და კედლის გაზეთების მუშკორთა
საერთო საქალაქო კრებას,
რომელზედაც მოსმენილ იქნება შემდ. მოხსენებები:
1) მზადება მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირისათვის და
2) ცნობა სრ. საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობის მოწვევის შესახებ.

ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად

ტოლსტოის საიუბილეო დღესასწაული სკოლებში

განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობამ განათლების განყოფილებას დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა სკოლებში ტოლსტოის საიუბილეო დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ცირკულიარში ვრცლადაა დახასიათებული ტოლსტოის ცხოვრება, შემოქმედება და მოღვაწეობა, ცირკულიარი მიუთითებს ადგილებს, თუ როგორ უნდა ჩაატარონ სკოლებში დღესასწაული და რა ხასიათი უნდა ექნეს მას.

სოცაღზრდის მთავარ-მმართველობის გეგმით ტოლსტოის იუბილეს ჩასატარებლად წინასწარი მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნეს 15-20 სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში შრომის სკოლის 8—9 ჯგუფებში და სპეციალურ ტეხნიკუმებში უნდა სწარმოებდეს მოსამზადებელი მუშაობა იუბილეს ჩასატარებლად. მოსამზადებელი მუშაობის დროს ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოწაფეები ეცნობიან ტოლსტოის თხზულებების იმ ადგილებს, სადაც დახასიათებულია გლეხური მასების სტიქიური აღშფოთება და ბრძოლა.

მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ სკოლებში ეწყობა სპეციალური საღამოები. წინასწარ შემუშავებული პროგრამით. იქ, სადაც შესაძლებელი იქნება თვით მოწაფეები უნდა გამოვიდნენ მომხსენებლებად ტოლსტოის შემოქმედების შესახებ; თეზისები მოხსენებისათვის წინასწარ უნდა იქნეს გამომუშავებული. საიუბილეო საღამოებზე მოწვეული უნდა იქნენ მოწაფეთა მშობლები და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები; იუბილეს ჩასატარებლად უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ლიტერატურით:

1) „ლენინი ტოლსტოის შესახებ", 2) ტოლსტოი—„ომი და ზავი" და 3) ტოლსტოი—„აღდგომა".

საიუბილეო საღამოების მოწყობა უნდა დამთავრდეს პირველ ოქტომბრამდე.

საბჭოთა მწერლების ფედერაციაში

შაბათს, 15 სექტემბერს, ხელოვნების სასახლეში ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაცია აწყობს საღამოს. ტოლსტოის შემოქმედების და მოძღვრების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **შ. დუდუჩავა**.

ახალგაზრდა მუშათა მონაწილეობა ფაბქარხადგილკომების გადარჩევაში

ფაბქარხადგილკომების გადარჩევის კამპანიაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შემდეგი ცირკულიარული წერილი გაუგზავნა ყველა პროფორგანიზაციებს:

სექტემბრიდან დაიწყება ფაბქარხადგილკომების გადარჩევა, რომელიც ნოემბრამდე გაგრძელდება. პროფორგანიზაციების მთელი ყურადღება იქითკენაა მიმართული, რომ კავშირის წევრთა ფართო მასები ჩაებას ამ კამპანიაში, რომელშიაც აგრეთვე მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩაბმული წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდებიც. ამ კამპანიამ, რომელიც ფართო თვითკრიტიკის ლოზუნგის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს, დაუზოგავად უნდა გამოააშკარავოს ფაბქარხადგილკომების მუშაობის ნაკლულოვანებანი საერთოდ და აგრეთვე ახალგაზრდათა შორის მუშაობის დარგში.

საღმა ბოლშევიკურმა თვითკრიტიკამ თვალნათლივ უნდა გამოამჟღავნოს ფაბქარხადგილკომების მუშაობის დეფექტი შეგირდობის, შეგირდების თეორიული მომზადების, ჯავშნის გატარების, თანრიგის მომატების, ახალგაზრდათა დაწინაურების, გამომგონებლობის ახალგაზრდობის საწარმოო თათბირებში და საკონტროლო კომისიებში ჩაბმის და სხვ. დარგში.

ფაბქარხადგილკომის მოხსენებამ უნდა გამოიწვიოს ინტერესის გაცხოველება შრომის ნაყოფიერების, შრომის დისციპლინის, ალკოჰოლიზმთან ბრძოლის, ყოფა-ცხოვრების, მანქანებისა და ხელსაწყოებისადმი ცუდად მოპყრობის საკითხების გარშემო.

ამის გარდა თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით უნდა გამომჟღავნდეს გახრწნის ყველა შემთხვევები, როგორიცაა, წარმოების ხელმძღვანელ მუშაკების მხრივ ცალკე მუშების, მათ შორის ახალგაზრდების, შევიწროება და სხვ.

ფაბქარხადგილკომების მუშაობის შესახებ მოხსენების გარშემო კამათის დროს წარმოების ყველა უარყოფითი მხარეების გამომჟღავნება ხელს შეუწყობს ახალგაზრდათა შორის მუშაობის გამოსწორებას. ამისათვის აუცილებელია საარჩევნო კომისიაში არჩეულ იქნენ ახალგაზრდებიც, რომელნიც უნდა ავირჩიოთ აგრეთვე ნაკაზის გამომმუშავებელ კომისიაში, რათა ნაკაზში შეტანილი იქნეს საკითხები ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.

რადგან გადარჩევა ჩატარდება ფართო დემოკრატიის ლოზუნგის ნიშნის ქვეშ, ამიტომ აუცილებელია, რომ ფ. ქ. ადგილკომების კანდიდატებად დასახელებულ იქნენ ახალგაზრდებიც მისი პროცენტული წონის მიხედვით. ამით სრულებით არ უნდა დაირღვეს საკავშირო დემოკრატიის პრინციპები.

სახ. მეურნეობის სპეციალისტების დაჯილდოვება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა დაჯილდოების წესის პროექტი. პროექტი ითვალისწინებს როგორც ცალკე მუშაკების, ისე სპეციალისტთა მთელი ჯგუფების დაჯილდოებას წარმოების ახალი მეთოდების შემუშავებისათვის, მუშაობის არსებული წესების გაუმჯობესებისათვის, მასალებისა და მუშა-ხელის დაზოგვისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის და სხვ. პრემიალურ ჯილდოს რაოდენობას და მისი გაცემის ვადებს აწესებს წარმოების ადმინისტრაცია პროფკავშირთან შეთანხმებით, ამ შემთხვევაში წარმოების ადმინისტრაცია ითვალისწინებს სპეციალისტების წინადადების პრაქტიკული მნიშვნელობას, გამოჩენილ ინიციატივას და ახალ ღონისძიებათა ეკონომიურ შედეგს.

პრემიალური ფონდი იქმნება განსაზღვრული პროცენტის გადარიცხვით იმ ეკონომიიდან, რომელიც გროვდება სპეციალისტთა წინადადებების განხორციელების საშუალებით.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა წარმოდგენილი პროექტი და სპეციალურ კომისიას (საკავშირო პროფსაბჭოს, ინჟენერ-ტეხნიკურ ძალების, საკ. ს. მ. უ. ს. და ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით) დაავალა საბოლოოდ დაამუშაოს სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა დაჯილდოების დებულება.

თბილისის მაზრაში ეწყობა საჩვენებელი თემი

რუსეთის ზოგიერთ რაიონებში დიდი ხანია შეუდგენ საჩვენებელი თემების მოწყობას. ზოგ ადგილებში მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დამთავრებულია და სასურველი შედეგებიც მოყვა.

საჩვენებელი თემების მოწყობის მიზანია ხელის შეწყობა სრულიად თვითმოქმედების განვითარებისათვის, ადგილობრივ საშუალებების გამონახვისა და მისი მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ასეთი თემის მოსაწყობად თბილისის მაზრაში გუშინ, საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის გაფართოებული თათბირი ამხ. **გავაშელის** თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ კრებას გააცნო საჩვენებელი თემის მოწყობის გეგმა და აღნიშნა, რომ საჩვენებელ თემში განხორციელებული უნდა იქნეს ყველა ის ღონისძიებები, რომელიც ხელისუფლებას აქვს დასახული სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის, განათლების და ელექტროფიკაციის დარგში. ასეთ თემში სანიმუშოთ უნდა მოეწყოს როგორც მეურნეობა, ისე გლეხის ცხოვრება.

საჩვენებელმა თემმა პირველ ყოვლისა უნდა შესძლოს თავის თავის მოვლა საკუთარი საშუალებებით და ყოველგვარი შემთხვევითი დახმარების იმედის გარეშე.

თათბირმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო თბილისის მაზრაში საჩვენებელი თემის მოწყობა.

ოფიციალური განყოფილება

რედაქციისაგან

„კომუნისტი“-ს 207 (2250)-ში ა.-წ. სექტემბრის 6-ს დაბეჭდილი იყო საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების გადახდევინება“.

როგორც სჩანს რედაქციაში შემოსულ შეკითხვებიდან, ეს დადგენილება ზოგიერთებს გაუგიათ ისე, რომ მისი ნამდვილი აზრი სრულიად დაუმახინჯებია. მაგალითად, ზოგიერთებს უფიქრიათ, თითქოს აღნიშნული დადგენილების ძალით მოსახლეობას დაეტოვება მხოლოდ ის ქონება, რაც თვით დადგენილებაშია ჩამოთვლილი, ხოლო ზედმეტი ჩამოერთმევა; ზოგიერთს ის ამოუკითხავს, რომ, თუ ვისმეს იმაზე მეტი ექნება, რაც დადგენილებაში არის აღნიშნული, მას გადასახადი დაედება; ზოგსაც უფიქრია, რომ არ შეიძლება მოქალაქეს ჰქონდეს იმაზე მეტი, რაც დადგენილებაშია აღნიშნული, და სხვა.

ყოველივე გაუგებრობის გასაფანტავად რედაქციას საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ დღემდე, თუ ვინმე არ შეიტანდა ვადაზე თავის ხვედრ სახელმწიფო, თუ ადგილობრივ გადასახადს (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, საშემოსავლო გადასახადს, და სხვა), საფინანსო აგენტები იძულებითი წესით უყიდიდენ მას ხშირად მთელ ქონებას ან და, თუ რაიმე ნაწილს დაუტოვებდენ, ეს იყო დამოკიდებული აგენტების შეხედულებაზე. მთავრობის ახალი დადგენილების აზრი სწორედ ის არის, რომ მკაფიოდ ჩამოთვლის ყველა იმ ქონებას, რასაც აგენტები ხელს ვერ შეახებენ სახელმწიფო გადასახადის იძულებით აკრეფის დროს. მაგალითად, როგორი სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადებიც უნდა ირიცხებოდეს მოქალაქეზე, ამ დადგენილების ძალით, მას ვერ აუწერენ და ვერ გაუყიდიან სასოფლო-მეურნეობისათვის საჭირო ინვენტარს: ერთ ცხენს ან ერთ ულელ ხარს, ერთ ძროხას, ერთ ხბოს, სახნისს, გუთანს, ფარცხს, ურემს და სხვა, ან მუშაობისათვის საჭირო იარაღს, ინსტრუმენტებს, მანქანებს, ან საჭირო ტანისამოსს: ერთ საზამთრო პალტოს, ერთ საზაფხულო პალტოს, ერთ ხელს საზამთრო და საზაფხულო ტანთსაცმელს, ფეხსაცმელს, და სხვ.

ამგვარად, მთავრობის ხსენებული დადგენილების ერთად-ერთი მიზანი ის არის, რომ მტკიცედ დაიცვას მოსახლეობის ინტერესი სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადების აკრეფის დროს. ამ დადგენილებას აზრად არა აქვს არც რაიმეს ჩამორთმევა, არც ახალი გადასახადით დაბეგვრა და არც იმის განსაზღვრა, თუ რა შეუძლია იქონიოს მოქალაქემ. ამას ამტკიცებს დადგენილების სათაური და მთელი მისი შინაარსი.

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოსი

განათლების სახალხო კომისარიატის სამხატვრო კოლექციებისა და ნივთების გადაცემის შესახებ

1923 წლის ნოემბრის 12-ის თარიღისა და 114 №-ის დადგენილების დამატებად საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს ს.ს.რ. ყველა სახელმწიფო ორგანოს, რომლის განკარგულებაშიაც არის რაიმე სამხატვრო კოლექცია ან მხატვრული მნიშვნელობის ცალკე ნივთები, გადასცეს ყოველივე ეს, ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, საქართველოს ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატს საქართველოს მუზეუმში მოსათავსებლად.

ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **გ. მგალობლიშვილი.**

ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 24.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოსი

მიზნობრივი საბინაო გადასახადის შემოსავლის 20 პროცენტის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის თაობაზე 1927 წლის ოქტომბრის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ოქტომბრის 5-ის დადგენილება—მიზნობრივი საბინაო გადასახადის 20 პროც. საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის შესახებ (გაზ. „კომუნ.“ 1927. ოქტ. 6-ს) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 31

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო - საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 13 სექტემბერს, დილის 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, „ახალი სოფელი“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, „პროლეტარი“-ს, რედაქტორთა თათბირი, ქალაქის აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოს, და პოლიგრაფტრესტის წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირზე დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების სააღრიცხვო ქვეგანყოფილება წინადადებას აძლევს შორაპნის მაზრის აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ამხ. სიმონ ალექსისძე **ცუცქირიძეს** გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ცეკაში ოთახი № 43.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვევით ჩამოთვლილ პროპაგანდისტებს გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში 16 სექტემბერს პროპაგანდისტთა გადასამზადებელ კურსებზე ჩასარიცხავათ.

ბენიამინ ბარამიძე, მიხეილ მეგენეიშვილი, ალექსანდრე გალდავა, ვასილ ქობულაძე, ნიკოლოზ ქობალიანი, ჯელილ დიასამიძე, ალექსანდრე კალანდაძე, პეტრე კახიძე, გიორგი ჯიბლაძე, სერგო კალანდაძე, ფირუზ გაჯრიშვილი, ნოე მექვაბიშვილი, ალუსი ჯაფარიძე, გიორგი ლობჟანიძე, თედორე ალანია, ლავრენტი გძელიშვილი, პეტრე ბერუჩაშვილი, სიმონ ბერუაშვილი, კარპეზ შელლაშვილი.

ის ამხანაგები, რომლებიც დანიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, გამორიცხულ იქნებიან მუდმივ პროპაგანდისტთა სიიდან.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სააღრიცხვო ქვეგანყოფილება წინადადებას აძლევს ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან (ოთახი № 43): ალიოშა მდივანი, შუშანა ბერიძე, იოსებ შახდიაროვი, (რომელმაც გაათავა კომუნისტურ აღზრდის აკადემია 1927 წელს). აკოფოვი (სამხრეთ-ოსეთიდან) და სედრაკ სააკოვი.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილების სააღრიცხვო ქვე-განყოფილება, წინადადებას აძლევს ამხ. შალვა ხონელიძეს და ნინო ჯარკოვას, ორი დღის ვადაში გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. **კვირკველიასთან** (ოთახი 43),

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება, სთხოვს ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **თარხნოვთან** (ოთახი 10): ვასილ გიორგისძე ფირცხველაშვილი, ანა სერგოს ას. სკიბინა, ზაქარია ივანესძე სიხარულიძე, ნიკოლოზ სტეფანესძე სევერიუხინი, ანდრო კაზიმირისძე სობონი, კონსტანტინე ვასილისძე სიტნიკოვი, სიმონ მიხეილისძე სისანაშვილი, ონიკ ბაგრატისძე საჰაკიანი, მარიამ ივანეს ას. სრივიცკაია, ვართან ალექსანდრესძე სარქისიანი, მიხეილ სარქისისძე ოგანეზოვი, ოგანეს არაქელისძე ოგანჯანოვი, სათენიკ სტეფანეს ას. ოკსუზიანი, ვარლამ ტიმოთესძე ოსიძე, ირაკლი გიორგისძე ოვანეზოვი, ბაგრატ მიქაელისძე ოსეარანი, მიხეილ გიორგისძე ინასარიძე, სუსანა სარქისას ას. ისაევა, აკულინა ეფრემის ას. ივლიევა, მისაკ ავეტისისძე ისკანდარიანი, ტიმოთე ივანესძე იგნატოვი, ანდრო ისონისძე თიკაბაძე, გრიგოლ სოლომონისძე თათაროვი, ივანე გიორგისძე თურაზიანი, არტო ივანესძე ტარირკიანი, ტიხონ ვასილისძე ტკაჩენკო, სიმონ არეფისძე თათარკიანი, ვასილ სარქისისძე თანდილოვი, ბარსეგ ანდროსძე პაშიაბეკი, როსტომ ივანესძე ფირცხელაური, არუთინ მირზოსძე პოლოსოვი, მოსე ივანესძე, რეხვიაშვილი, არამ მკირტიჩისძე გრიგორიანი, მიხეილ ნიკოლოზისძე რაზმაძე, ივანე ნიკოლოზისძე როგოჟნიკოვი, ალექსანდრე ივანესძე როდიმოვი, კლარა ზინოვიევის ას. რახჰანი, კონსტანტინე კარპოსძე ნოჟენკო, ალექსანდრე დავითისძე ნარიმანაშვილი, ევდოკია ანტონის ას. ნიკიფოროვა, ლეონ ივანესძე ხუბიევი, კარაპეტ მელქოსძე ნაზაროვი, ბარბალე გიორგის ას. მაღრაძე, გიორგი ვასილისძე ნაცვალოვი, გრიგოლ ნიკოლოზისძე სილანტიევი, გეგერ კარაპეტისძე სარქისოვი, გრიგოლ ანტონისძე კოლხიდაშვილი; ანა ივანეს ას. კვაშილაძე, ვლადიმერ ივანესძე იუსაიაოვი, ბარბალე სიმონის ას. იაჩინნიკოვა, ვასილ კონსტანტინესძე ერმიანცი, ლიუბა აკიფორეს ას. შევჩენკო, იონა ბართლომესძე შურლაია, ნიკოლოზ ივანესძე შაპოშნიკოვი, სარდიონ ივანესძე შაფათავა, ლუკა (შალვა) ნიკოლოზისძე შოშინი, მარიამ გიორგის ას. შიოშვილი, ივანე ფილიპესძე პეტროვი, რობერტ იანისძე პუტნე, პეტრე ადამისძე პუცე, სურენ ვასილისძე ფრიდონოვი, გეორგ არტაშესისძე პაიზატიანი, კონსტანტინე ივანესძე ფრაჭიშვილი, ვასილ იაგორასძე კერკულიშვილი, ალექსი ნიკოლოზისძე კაცევი, ივანე ილიასძე კუგუაშვილი, შალვა გიორგისძე კოტრიაშვილი, გიორგი პავლესძე გაზახაშვილი, გიორგი დიმიტრისძე კახიაშვილი, ნიკოლოზ მიხეილისძე კოკოშვილი, ეკატერინე ათანასეს ას. კვასნიკოვა, რუბენ კარიოლესძე კბილაძე, გიორგი ალექსანდრესძე კოტოიანი, ივანე ბალდასარისძე კარაპეტოვი, კარაპეტ მარტინისძე ყარაგოზიანი, ვართან არაქელისძე კოჩანოვი, ლიუბა ივანეს ას. კორსუპევა, ბაქო სილიბისტროსძე კუკულაძე, ემელიანე ივანესძე კლიშენკო, ნიკოლოზ ვასილისძე კოზლოვი, გოტლიბ ადამისძე კრაგი, პროკოფი სილიბისტროსძე კოპლატაძე, ნინო მოსეს ას. კალანდაძე, გრიგოლ ივანესძე კრავჩენკო, ფლორა ივანეს ას. კოვალევა, ტიმოთე მათესძე კოსტიუკოვი, ვასილი მოსესძე კუდინოვი, გრიგოლ გიორგისძე კუპრაძე, ფრანჩესკა მათეს ას. კვაპიში, მარტინოს აბრამისძე კახრამანოვი, ვასილ პავლესძე კაზაკაშვილი, ალექსანდრე ივანესძე კაზუროვი, ალექსანდრე ვასილისძე კრავჩენკო, ნინო ივანეს ას. ყურბანოვა, ილია ბიძიასძე კუშაშვილი, გაიკ ალექსისძე კაზაროვი, ოგან ახვერდისძე სარქისოვი, სალიკო გიორგისძე სიდამონიძე, გიორგი იოსებისძე სამადაშვილი, გრიგოლ ვასილისძე საბონაშვილი, მუშეღ აკიმისძე სოლოვიანი, მარკოს გიორგისძე სარქისოვი, დანიელ აფანასისძე სერშენკო, კაპიტონ სტეფანესძე საფარიანი, კონსტანტინე ნესტორისძე კანდელაკი, ანასტასია თედორეს ას. კაპილოვა.

ის ამხანაგები, რომლებიც არ იმყოფებიან თბილისში, თავის სამსახურის და საცხოვრებელი ადგილის შესახებ აცნობონ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, იტყობინება, რომ დღეს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ანატოლი გუსტიაკოვი, ათანასე ჩენეიკო, ნიკოლოზ კორნეევი, ვასილ კრეტოვი, იაკობ ობოიანსკი, ბიქტორ ნაგრიენკო, დიმიტრი რუდიაკოვი, გრიგოლ სელივანოვი, სიმონ მელაძე, ივანე ხოჯაევი, სიმონ მიაგკოვი, პავლე ხოლოდოვი, ლეონ სარიბეკოვი, ვლადიმერ ჩესოევი, ნიკოლოზ ბიტ-აბრამი, ანასტასია კასინსკაია, გიორგი ხომერიკი, ბიქტორ კოჩაროვი, ტატიანა დროგონოვა, კოტე საბაშვილი.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს 13 სექტემბერს შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: გიორგი ხატის-კაცი, ასად მამედ ალი მამედოვი, ასად აგაევი, ერნოს მოსესიანი, გრიგოლ საავაკიანი, გიორგი დალაქიშვილი, მიხეილ კორშენკო, ნიკოლოზ ასტვაცატუროვი, ავეტიქ შამატოვი, ანდრონიკ ტაევოსოვი, ხაჩიკ ესეიანი, აბაბეკ ტატევოსიანი, გეორქ მარტიროსოვი, რომან კობერიძე, ნიკოლოზ კაზია, მელქონ ოვანესიანი, პეტრე ირემაშვილი, ანა ხაჩატუროვა, რაჟდენ მელაშვილი, ალექსი გაბაშვილი, კაზარ ქსოვრელი, ივ. სადუნაშვილი, ანდრო პეტროსიანი, აშოტ დადიანი, ანდრონიკ კიროპიანი, მიხეილ მღებროვი, გურგენ ჩარუხჩიანი, მაკრუი ბაბაიანი, სამსონ ნერსესოვი, აიკანუშ მალხასიანი, სიმონ გრიგორიანი, ანდრო კოჩარიანი, სურენ სუნსარიანი, სტეფანე ბოიადაშვილი, მარიამ არუთინოვა, გეგამ მარქარიანი, მამედ კადირი, ვარლამ ვარამაშვილი, გიორგი ბეგლიაშვილი, გალაქტიონ კობერიძე, ივანე ისაკაძე, კირაკოს კურადოვი, ნინო ივანოვა, [illegible] მანჯგალაძე.

—:—

თბილისის სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 13 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია ბიუროს სხდომა. წინადადება ეძლევათ ბიუროს წევრ კანდიდატებს გამოცხადდენ სხდომაზე. სხდომა შესდგება აგრ. ფაკულტეტის შენობაში (ყოფ. სემინარია), სხდომაზე აუცილებლათ უნდა გამოცხადდეს ამხ. შოთა პატარაია.

—:—

ხვალ, 14 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება **მე-4 რაიკომთან არსებულ მასწავლებელთა № 67 კომუჯრედის** დახურული სხდომა. დასწრება სავალდებულოა უჯრედის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო - კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 13 სექტემბერს, დილის 10 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფროსიმე, მეუღლე ქიონა, შვილები: გივი, ვენერა, აპოლინა, დები: ოლღა რატიანი შვილებით, ბაბო კოტარია შვილით, ძმები: დავით და იპოლიტე ცოლშვილით, სიძე არტემ კოტარია, დეიდა პელაგია ბზიავა, დეიდაშვილები: საშა და დათიკო ბზიავები აუწყებ ნ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბათომში უდროოდ გარდაიცვალა დაუვიწყარი და ძვირფასი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ქოჩალავა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 15 სექტემბერს, სოფ. გალმა-ზანათში (სენაკ. ს მაზრა). (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები და რძლები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი საყვარელი დედის

მზეხა ლაზარეს ასული თიკანაძის

დასაფლავება მოხდება პარასკევს, დღის 4 საათზე, სოფელ მაკვანეთში. 4150

თბილ. მე-2-ე შრომ. სკ. მასწავლებლები და მოწ ფეები, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იმავე სასწავლებლის მე-9-ე ჯგუფ. მოწაფე

გიორგი ნიკოლოზის-ძე მეზვრიშვილი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, სუფ-კარაპეტის ქ., № 10. დაკრძალვა—ხუთშაბათს, 13 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 4159

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	უცხოეთის მხატვრული სურათი	პრერიების კანონი
საზაფხულო ეთერი	ტანი იუნი სურათში	შავი სვეტი
საზაფხულო დარბაზი	მე-2 კვირა საუკეთესო კომედია	ნეპტუნი
საზაფხულო პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	მწვანე ხმაური
პროლეტარი ავლაბარი		ნიუ-იორკის საიდუმლოებანი მე-3 და 4 სერია ერთად

ანონსი: ელისო! ელისო! ელისო! ს-8

დღეს და ყოველდღე

კინო-თეატრში **პალასში** თავის დადგმით გრანდიოზული ფილმი **საარტაკი**

კინო **დარბაზში** საზღვარ გარეთის მხატვრული სურათი **ჭაობში**

სიმებიანი ორკესტრი

ნ. 1574

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 სექტემბერს, 1928 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 31, გიორგის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გიორგი ჩახავას მოძრავ ქონებას: საყინულეს, კედლის საათს, სპილენძის ქვაბებს, შკაფს, შეფასებულს 100 მან., მოქ. მელიტონ არჩვაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 მაისს, 1928 წ. თარიღით, № 1640, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4162

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 15 სექტემბერს, დილის 10 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ს. თერჯოლაში, შალვა სიმონის-ძე ჯანელიძის ორ ცხენს, შეფასებულს სამას მანეთად, იმერეთის მევენახეთა საზოგადოება „იმერეთის“ ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად პროტესტქმნილი თამასუქისა. 4164

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს, ქ. ზესტაფონში, მარქსის ქუჩაზე, დილის 9 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერემია ჟღენტის უძრავ ქონებას სახელდობრ ორ თვალ სავაჭრო დუქანს და ერთ საცხოვრებელ ოთახს დასაკმაყოფილებლად ნიკოლოზ რგოლაძის და ქსენია ნეჭიერიძის ვალისა, თანახმად ქ. ზესტაფონის სანოტარო კანტორის ამა წლის 2 ივლისს № 204, აღსრულებითი წარწერისა, ქონება შეფასებულია 1,500 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, ვაჭრობა მოხდება ს. ს. ს. კ. 310—311 მუხ. 4164

ზორაპნის მაზრისათვის საჭიროა გამოცდილი სამაზრო ინჟინერი

მუდმივათ — მცოდნე საალმშენებლო დარგის და ხიდების, პარალელურად გზების, წყლის და სხვ. პირობის გაგება შეიძლება სამაზრო აღმასკომში (ქალ. ზესტაფონში), სადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო საბუთები.

სამაზრო აღმასკომი.

3—1 4127

მათემატიკის მასწავლებელი

1929 ს. წ. ამზადებს **ქართულ და რუსულ ენაზე** უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ერთ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 4—1 4100

ლოგოპედი

ანასტასია კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე

სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორი დაყენება

სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და **ხელოვნური თვალები.**

მიხეილ გედევანიშვილის. სახელობის **სამკურნალო** საწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე;

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

25—1

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი **ს. ანდრეევისა**

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი —11—78. 25—1

ექიმი **ა. ს. ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—1

კბილის ექიმი **ა. გ. სოლოლაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი **გ. ო. ზანდუკელი**

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი** ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

დაიკარგა: რკინ. გზის კავშირის წიგნაკი № 11007, თეოფილე კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. 4152

დაიკარგა: სამხედრო ფურცელი ფორმა № 4, ალექსანდრე ივანეს-ძე ნემსაძის სახელზე, ჩ. გ. 4155

დაიკარგა: საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 599, ლონგინოზ მოგელაძის სახელზე, ჩ. გ. 4156

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი № 79, გრიგორი ალექსანდრეს-ძე ავსაჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4154

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 169—a, სოლომონ გოგოლაძის სახელზე ჩ. გ. 4151

დაიკარგა: ხარის მოწმობა № 938 და ძროხის მოწმობა № 943, დავით დანელიას სახელზე, ჩ. გ. 4151

დაიკარგა: სამტრედიის სახალხო სასამართლოს მოცემული აღმასრულებელი ფურცელი № 1525, მიხეილ და ოლღა აბალაძეების სახელზე, ჩ. გ. 4151

დაიკარგა: დამზღვევი წიგნაკი № 8025, გიორგი კინწურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4151

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 17243, აღმშენებელთა კავშირისა, შაქრო ჩიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4160

დაიკარგა: სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 874, მოცემული თბ. სახ. უნ. აგრონ. ფაკულტეტის მიერ, ანდრო ქვირიას სახელზე, ჩ. გ 4158

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხო ბარათი, დავით ალექსანდრეს-ძე კიკვაძეს სახელზე, ჩ. გ. 4163

თბ. აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფ. ხის დამამუშავებელ მექანიკური ქარხნის „ხის ნაწარმი“-ს დაწყებითი და დასკვნითი

ბალანსები

აქტივი.

№	მუხლების დასახელება	დაწყებითი 1926 წლ. 1 ოქტომბრისთვის ჯამი	%/% შეფარდება	დასკვნითი 1927 წ. 1 ოქტომბრისთვის ჯამი	%/% შეფარდება
	I. ქონება				
1	შენობები წარმოების, დამხმარე და სავაჭრო მნიშვნელობის	20,264-55	12,05	3.010—40	0,88
2	ტექნიკური მოწყობილობანი და მანქანები	24.927—99	14.84	26.602—50	7,64
3	იარაღები	10.713-67	6,37	10.607-73	3,05
4	სამნეო ინვენტარი	7.854-41	4,68	6.140 47	1,78
	1 თავის ჯამი	63.760-62	37,94	46.361—10	13,35
	II. სათადარიგო მოწყობილობანი			46.159—24	13,28
	III. არა ლიკვიდიური ქონება	7.934-66	4,72		
	IV. გადაფასება ქონებისა				
	V. კაპიტალური დანახარჯი			2.076—73	0,6
	VI. მასალები			13.979—66	4,01
1	ნედლეული და ძირითადი მასალა	13.334—31	7,93	28.016-68	8,05
2	დამხმარე მასალა	204—34	0,12	3.113-14	0,9
3	სათბობი მასალა	98—68	0,05	1.025—91	0,3
4	სხვა მასალები	25.624-77	15,23	20.021—49	5,76
	მე-6 თავის ჯამი	39.262—10	23,33	52.177—22	15,01
	VII. საქონელი და დამზად. ნაწარმი				
1	მზა ნაწარმი ქარხნის საწყობებში	1.150—17	0,69	4.891-70	1,4
2	მიღებული დაკვეთები ჩაუბარებელი			654—50	0,19
	მე-7 თავის ჯამი	1.150—17	0,69	5.546-20	1,59
	VIII. ნახევარ ფაბრიკატები	20.634—28	12,28	12.526-72	3,61
	IX. დაუმთავრებელი წარმოება	12.379-90	7,38	39.593—67	11,38
	X. ფულადი საშვალებანი				
1	სალარო	28—94	—	522—33	0,15
2	მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	6.791-76	4,03	9.517-04	2,73
	მე-10 თავის ჯამი	6.820—70	4,03	10.039—37	2,88
	XI. პაი და აქციები სხვა წარმოებების			1.140—00	0,32
	XII. მიღებული თამასუქები პორტფელში			120—00	0,3
	XIII. საქვეანგარიშო თანხები	179—96	0,11		
	XIV. დებიტორები				
1	ავანსები მუშა-მოსამსახურეებს	1.288—27	0,77	2.727—31	0,8
2	ავანსები მომყიდველ და მენარდეებს			1.010—78	0,3
3	მყიდველნი და დამკვეთნი			7.963—49	2,29
4	დებიტორები სხვა.	13.888—94	8,25	510—35	0,14
5	საეჭვო მევალენი	147—76	00,09	847 18	0,24
6	უიმედო მევალენი			12—00	—
	მე-14 თავის ჯამი	15.324—97	9,11	13.071-11	3,77
	XV. მომავალი წლის ხარჯები	692—08	0,41	1.316-63	0,37
	XVI. საწესდებო თანხის შემცირება			81.390 - 33	23,4
	XVII. ზარალი საოპერაც. წელში			22.261—06	6,4
	ბალანსი.	168.139—44	100	347.759-04	100

პასივი.

№	მუხლების დასახელება	დაწყებითი 1926 წ. 1 ოქტომბრისთვის ჯამი	%/% შეფარდება	დასკვნითი 1927 წ. 1 ოქტომბრისთვის ჯამი	%/% შეფარდება
	I. კაპიტალები				
1	საწესდებო	119.480—60	71,08	119.255—42	34,48
2	საამორტიზაციო	6.324—93	3,76	10.075-38	2,89
	1 თავის ჯამი	125.805—53	74,84	129.330—80	37,37
	II. რეზერვები				
1	საეჭვო ვალების			840-18	0,24
	III. სესხები და კრედიტები				
1	ბანკების სესხები თამასუქების ქვეშ			27.000—00	7,96
	IV. გაცემული თამასუქები			2.360—65	0,68
	V. კრედიტორები				
1	მომყიდველნი და მენარდენი			3.000—71	0,87
2	ავანსები მიღებული მყიდველთა და დამკვეთელებისაგან			70.243—63	20,19
3	გადაუხდელი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები და ანარიცხები:				
	ა) სახელმწიფო და ადგილ. გადასახ.			2.832—00	0,81
	ბ) სოც. დაზღვევ. სამმართ. % % ანარიცხ.	2.841—84	1,68	6.170—59	1,87
	გ) სხ. ანარიცხები და გადასახადები			98—41	—
4	დეპონენტები	22—16	—	18—00	—
5	კრედიტორები სხვა	39.469—91	23,48	827-64	0,23
	მე-5 თავის ჯამი	42.333—91	25,16	83.190—98	23,97
	VI. საწესდებო თანხის გადიდება			81.384—46	23,41
	VII. ქონების ფასდაკლება			1.609—97	0,04
	VIII. საურთიერთო ანგარიში				
1	ადგილ. მრეწვ. განყ—ბა			22.035-00	6,33
	ბალანსი.	168.139—44	100	347.759—04	100

მოგება-ზარალის ანგარიში.

ზარალი.

№			
1	ა) ზარალი მზა ნაწარ. რეალიზაც.	23.237-22	60,7
	ბ) შესრულებული სარემონტო სამუშაოებიდან	8.887—77	23,22
	გ) ქონების რეალიზაციიდან	52-17	0,13
	1-ლი მუხლის ჯამი	32.177-16	84,05
2	ა) სავაჭრო ხარჯები	2.875-55	7,52
	ბ) გაცემული % %	2.208-10	5,76
	მე-2 მუხლის ჯამი	5.083-65	13,28
3	ა) ზარალი უიმედო ვალების ჩამოწერით	177—47	0,46
	ბ) „ საეჭვო მევალეთა სათადარიგო ფონდში გადარიცხვით	847—18	2,24
	მე-3 მუხლის ჯამი	1.024-65	2,67
	სულ	38.285-46	—
	ბალანსი	38,285—46	—

მოგება.

№			
1	ა) მოგება მზა ნაწარმის რეალიზაციიდან	10,708—36	66,86
	ბ) „ შესრულებულ შესაკეთებელ სამუშაოებიდან	1.417—34	8,84
	გ) „ ქონების რეალიზაციიდან	514—32	3,21
	დ) „ მასალის რეალიზაციიდან	2.511-69	15,66
	1 მუხლის ჯამი	15.151—71	94,57
2	ა) მიღებული %%	251—41	1,56
	ბ) შემთხვევითი შემოსავალი	621-28	3,87
	მე-2 მუხლის ჯამი	872—69	5,43
	სულ	16.024—40	100
	წმინდა ზარალი.	22.261—06	58,14
	ბალანსი.	38.285-46	

ხის დამამუშავებელ მექანიკურ ქარხნის „ხის ნაწარმი-ს“, დირექტორი **ვ. ბირიუკოვი**

მთ. ბუხჰალტერი **რ. ნერსესოვი**

დაწყებითი ბალანსი დამტკიცებულია თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დადგენილებით 1927 წ. 9 მაისს, ოქმი № 31|10 და საწესდებო თანხა ბალანსისა დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ ოქმი № 14—§ 12, 29 აპრილიდან 1927 წ. და ოქმი № 36 § 2 23 დეკემბრიდან 1927 წ.

დასკვნითი ბალანსი განხილული და დამტკიცებულია თბ. აღმასრ. კომიტეტის მიერ ოქმი № 26 § 3, 30 ივლისიდან 1928 წ. და ნებადართულია გამოსაქვეყნებლათ.

ნ. 1549

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მთავ. ბუხჰალტერი **ი. თოხაძე.**

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.